საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბათი, 26 ივნისი, 2004 წელი. №146 (4875) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ სიგრილე ყურის ძირში

ეზე, ოქალი და... «ბამის გაკლვება»

იხ. მე-8 გვ.

◎ კანონმდებლები

რა ატირებთ ოპონენტებს?

„პარლამენტის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონპროექტი გუშინ პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე (პირველი მოსმენით მიიღო. კანონპროექტი შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა წარმოადგინა. მოგეხსენებათ, იგი ეს კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი და კომისიის წევრი გახლავთ. მიუხედავად ამისა, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ საკმაოდ უცნაურ პრაქტიკად მიიჩნია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრმა წარმოადგინა, ალბათ, კანონპროექტისთვის მეტი ავტორიტეტის მისაცემადო, – განმარტა გამყრელიძემ.

ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი გამორიცხავს ყოველნაირ გაუგებრობას, რაც აქამდე ხდებოდა. ამასთან, კანონპროექტის ოპონენტები (ძირითადად „რესპუბლიკელები“) მიიჩნევენ, რომ იგი გულისხმობს აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირ მმართველობას და არანაირ თვითმმართველობას არ ითვალისწინებს. კანონპროექტის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს აჭარის მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გაუქმების უფლება, რაც ოპონენტებს დაუშვებლად მიაჩნიათ.

ნოდარ გრიბალამეიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: „ქართული ხელისუფლება დღეს გვთავაზობს, აჭარის დედა-საქართველოსთან საბოლოოდ შემოერთების საკითხი კანონმდებლობის დონეზე დავარულოთ. სამომავლოდ ერთა ნაბიჯი კიდევ გერჩება, რომელიც დარწმუნებული ვარ, ისევ ამ ხელისუფლების მიერ გადადგმება.

აჭარელთა გულში ჩახუტების საბოლოო პროცესი ამ დოკუმენტით სრულდება. მასში სწორედ ეს პოლიტიკური ნებაა გამოხატული. არის ასეთი მშვენიერი ქართული ანდაზა, შენ ჩემთვის რა გატირებდაო. წარმოდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით აჭარის უზენაეს საბჭოს არა აქვს პრეტენზია, აჭარის მოსახლეობას არა აქვს პრეტენზია. პარლამენტის უმრავლესობას, ქართულ სახელმწიფოს არა აქვს პრეტენზია. მინდა ვკითხო ოპონენტებს, მაშ, ვისთვის ტირიან ისინი?

იხ. მე-2 გვ.



◎ შემთხვევა

„ნოდარ დუმბაძის“ ეკიპაჟმა 21 ადამიანი გადაარჩინა

20 ივნისს იტალიის სანაპირო დაცვისგან ქართული მპს „საოკეანო სანაოსნო კომპანიის“ ტანკერმა „ნოდარ დუმბაძე“, რომელიც იტალიის სანაპირო დაცვის მიერ გამოცხადებულ რაიონში იმყოფებოდა, შეტყობინება მიიღო დაკარგული ოთხმეტრიანი ნავის შესახებ, რომელზეც 21 ადამიანი იმყოფებოდა. გემზე გამოცხადდა მზადყოფნა შესაძლო სამაშველო ოპერაციებისათვის.

22 ივნისს კაპიტნის უფროსმა თანამშემწემ თემურ ვარშანიძემ, მორიგეობის დროს მალტის ნაპირებიდან 200 კილომეტრის დაშორებით შეამჩნია ის ნავი. ინფორმაცია გაეგზავნათ იტალიისა და მალტის სანაპირო დაცვის სამსახურებს.

მალტის სამაშველო სამსახურმა გემის ეკიპაჟს სთხოვა, დაკარგულების გადარჩენის შემთხვევაში, ისინი მალტაზე გადაეყვანათ.

ცუდი ამინდის მიუხედავად ქართველმა მეზღვაურებმა ყველა ღონე იხმარეს განსაცდელში მყოფი ადამიანების გადასარჩენად. მათ ჩაუტარდათ პირველადი სამედიცინო დახმარება, უზრუნველყვეს საკვებით და განსაცმლით.

გადარჩენილები აღმოჩნდნენ პაკისტანელები, სომალელები და პალესტინელები, რომლებიც იტალიაში შეღწევას ცდილობდნენ. მოგვიანებით ისინი მალტის სანაპირო დაცვის სამსახურს გადასცეს.

ტანკერ „ნოდარ დუმბაძის“ კაპიტანმა და ეკიპაჟმა გადარჩენის ოპერაციისას დიდი პროფესიონალიზმი გამოიჩინეს, შეასრულეს ყველა მეზღვაურის ვალდებულება – გადაარჩინოს განსაცდელში მყოფი ადამიანები.

აღსანიშნავია, რომ 24 ივნისს შპს „საოკეანო სანაოსნო კომპანიის“ დაარსებიდან ხუთი წლისთავი შესრულდა.

სანდრო ალექსიძე.

სურათზე: გადარჩენილები.

დღეს ნომერშია:

პირველი იყო სიტყვა, და სიტყვა იგი არ უნდა ვაქციოთ ცილისწამების იარაღად!

ავტორიტეტულ გაზეთში გადაუმოწმებელი ინფორმაცია, წესით, არ უნდა მოხვდეს. ყვითელი პრესის მსუბუქ ჭორებს კი მკითხველიც მსუბუქად მოეკიდება. თუ არადა, მტყუან-მართალს სასამართლო განსჯის, – სამართლიანად მიიჩნევს დავით უსუფაშვილი.

მე-2 გვ.

გვეძნება ის, რასაც ველოდით?

სამთანადო სერიოზული დამუშავების გარეშე კანონად არ უნდა ვაქციოთ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელშიც ჩადებულია ისეთი მექანიზმი, ლამის პირდაპირ რომ მოგიწოდებს, მომპარე, გამაკოტრეო!

მე-3 გვ.

როგორ ეხმაურება ჯაზფესტივალს სანდრა რულოვსი

გაუხულის ცხელ დღეებში უკვე ტრადიციად იქცა იმ ცოცხალ ლეგენდებთან შეხვედრა, რომელთა კოსმოპოლიტური შემოქმედება უკომპრომისოდ, მითსა თუ რეალობას განეკუთვნება...

მე-8 გვ.

◎ კადრები

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

კოტე კეშულარია დაიბადა 1954 წელს ხობში, დამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მოსკოვის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, წლების მანძილზე მუშაობდა პროკურატურის გამომძიებლად, პროკურორად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-93 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი, 1998 წელს – თბილისის პირველი საკრებულოს წევრი. 1999-2004 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე. 2004 წლის თებერვალში იგი რუსეთში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

◎ მადლობა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

პატივცემულო რედაქტორო,

ბიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, რომელიც 2-16 ივნისს ჩატარდა თბილისში, ისტორიის კუთვნილებად იქცა.

ოიდევ ერთხელ გვსურს, უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ ამ მხარდაჭერისთვის, რომელმაც ასეთ მაღალ დონეზე გამართობა ფესტივალის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

ამჯერ ვიგოვებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

პატივისცემით და კეთილი სურვილებით,

ძეთი დოლიძე,

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი;

დალი ოძროპირიძე,

ფესტივალის პრესცენტრის ხელმძღვანელი.

◎ ინფორმაცია

პრეზიდენტი დავით თევზაძეს ნატოში არ უშვებს

საქართველოს პრეზიდენტი თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით თევზაძეს, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პარლამენტმა ნატოში საქართველოს ელჩად აირჩია, ნატოში არ უშვებს.

პრეზიდენტის მიერ მოწვეული პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მიხეილ სააკაშვილი პარლამენტისგან იმ დადგენილების მიღებას მოითხოვს, რომლითაც დავით თევზაძე ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობიდან გათავისუფლდება.

გავრცელებული ინფორმაციით, დავით თევზაძე ახალ თანამდებობაზე დამტკიცების დღიდან ნატოში არ გამგზავრებულა.

პანკისის ხეობაში ჰუმანიტარულ აქციას აწყობენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა 21-ე საუკუნე“ პანკისის ხეობაში 27 ივნისს ჰუმანიტარულ აქციას აწყობს და ოსური მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში კახეთის გუბერნატორის მხარდაჭერით მედიკამენტებს ჩაიტანს.

როგორც „ინტერ-პრესს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა 21-ე საუკუნის“ წარმომადგენლებმა განუცხადეს, აღნიშნული ჰუმანიტარული აქცია რამდენიმე თვის წინაც ჩატარდა, მაშინ მათ პანკისის ხეობაში მედიკამენტები ჩაიტანეს. ახლა კი ეტლები, ყავარჯნები და 2 წლამდე ბავშვების საკვები ჩაავქვთ.

გაუქმდა სამედიცინო ფსიქიატრიული კომისია

ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ბრძანებულების საფუძველზე გუშინ სასამართლოს სამედიცინო ფსიქიატრიული კომისია გაუქმდა.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ბოლო დღეების განმავლობაში სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიის წარმომადგენლებსა და პროკურატურას შორის წარმოქმნილი დავა სასწრაფოდ უნდა გადაჭრილიყო, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი ყველაზე რეალურ გამოსავლად მიაჩნია. ჯანდაცვის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე სპეციალობა „ფსიქიატრიული მედიცინაც“ გაუქმდება.

სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიულ დასკვნას ექსპერტ-ფსიქიატრები გასცემენ, რომლებსაც 3 თვის განმავლობაში უცხოეთიდან მოწვეული ექსპერტები გადაამზადებენ.

ისევ სტიქია. ამჯერად მესხეთ-ჯავახეთში

კლიერმა სეტყვამ და ქარიშხალმა ასპინძის, ადიგენისა და ახალქალაქის სოფლები სერიოზულად დააზარალა. სტიქიის შედეგად განადგურდა მოსავლის 90 პროცენტი, სიმინდის, კარტოფილისა და პურის ნათესები, ბოსტნეული და ხეხილი.

ახალქალაქისა და ადიგენის რაიონებში მოვარდნილმა ნიალვარმა წაილო ხიდები და ჩამოანგრია კლდეები. გზის გარკვეული მონაკვეთები კი ჩაიხერგა.

როგორც ახალციხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი მალხაზ გიქოშვილი აცხადებს, თითოეულ რაიონში შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებსაც დაევალათ მოსახლეობის ზარალის ზუსტი მონაცემების დადგენა.

ახალი სახელები სოციალური დაზღვევის ფონდში

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა შეიცვალა. საბჭოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი უხელმძღვანელებს. მისი მოადგილეები კი მინისტრის ყოფილი მოადგილეები მანონ ხაჩიძე და მერაბ ქავთარაძე იქნებიან.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში იუსტიციის, ეკონომიკის მინისტრების მოადგილეები, ექიმთა ასოციაციის, ღვთისმშობლთა კავშირის, პროფკავშირების, პენსიონერთა და ინვალიდთა კავშირის წარმომადგენლები შედიან.

საპენსიო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც საბჭოს თავმჯდომარე ზაზა სოფრომაძე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი გახდა.

მოსკოვი აბაშიძეებს გამოესარჩლა

მოსკოვში შეშფოთებულნი არიან აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის ქალიშვილის ირგელივ საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ამის შესახებ გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

დიანა აბაშიძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით შექმნილმა სიტუაციამ მოსკოვში დიდი შეშფოთება გამოიწვია – თქვა იაკოვენკომ.

თუმცაღა, დიანა არავის დაუპატიმრებია...

ინტერ-პრესი.

◎ არ დაგავიწყდეთ!

27 ივნისს საათის ისრები ერთი საათით უკან გადასწიეთ.



◎ ფეხბურთი

წილი ნაყარია

გუშინ შვეიცარიაში, უეფას შტაბბინაში გაიმართა 2004-2005 წლების ევროტურნირების საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა. გაუწყებთ ქართული კლუბების პირველ მეტოქეთა ვინაობას.

ჩემპიონთა ლიგა – „ეიტ ჯორჯია“ „ტორსპაენი“ (ფარერის კუნძულები) – (15 და 22 ივლისი).

წარმატების შემთხვევაში თბილისელები მეორე ეტაპზე კრაკოვის „ვისლას“ (პოლონეთი) შეხვდებიან.

უეფას თასი – ბაგე (ბელორუსია) – თბილისის „დინამო“, „შამქირი“ (აზერბაიჯანი) – „თბილისი“.

მაგრები 16 და 23 ივლისს მოეწყობა.

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ უსინათლო, მარგოხელა I ჯგუფის ინვალიდი. მესაჭიროება კეტარაქტის ოპერაცია. დააფინანსებს თუ არა სახელმწიფო მთლიანად ან ნაწილობრივ ჩემს მკურნალობას და თუ დააფინანსებს ვის მივმართო.

ნანი ჭუმბურიძე.

– სახელმწიფო პროგრამა გარკვეული კატეგორიის პირებზე (მათ შორის მარგოხელა პენსიონერებზე) ოპერაციის უფასოდ ან შეღავათიან პირობებში გაკეთების შესახებ დროებით შეჩერებულია. პროგრამის განახლებისთანავე მოსახლეობას დამატებით ეცნობება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

ძვირფასო მკითხველო!

ხომ არ დაგავიწყდათ, რომ გამოგეწერათ გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა?

ანახლებული „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე რჩება ყველაზე სანდო, მართალ, ანალიტიკურ და მიუკერძოებელ გამოცემად. გაეთი გაორჩეოდა და გამოირჩევა სახელმწიფოებრივი აზროვნებით, პუბლიცისტური სიახლეებით, მაღალი ჟურნალისტური ეთიკით.

„საქართველოს რესპუბლიკა“ აუცილებელი სუფიერი საზრდოა ნებისმიერი გემოვნების მკითხველისთვის, რადგანაც მხოლოდ აქ იბეჭდება ყოველმხრივ გაწონასწორებული, კრიტიკული, მაგრამ გადამოწმებული სტატიები ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, პოლიტიკის, სოციალური სფეროს, სპორტის, ახალგაზრდობის პრობლემებზე, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის ნებისმიერ დარგსა თუ უბანზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური მასალები.

2004 წლის პირველი ნახევარი პრაქტიკულად მიიწურა. წლის მეორე ნახევრისთვის ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა კი გრძელდება. მიმართეთ „საქპრესს“ (ტელ: 93-30-54), აგრეთვე, მის ნებისმიერ საქალაქო თუ რაიონულ განყოფილებას; „მაცნეს“ (37-47-49); „უწყებანს“ (93-64-72); „ექსპრესს“ (96-23-11); „ინფოსერვისს“ (34-09-35); პლანეტა-ფორტეს (93-38-73); თბილისის მიმომხილველს (98-74-95) და კერძო გამავრცელებლებს, თვით გაზეთის რედაქციას (93-26-99), კოსტავას ქ. № 14.

„საქართველოს რესპუბლიკის“ ერთი თვით გამოწერა ღირს 13 ლარი, სამი თვით – 39, ხოლო 6 თვით – 78 ლარი. ჩვენი ინდექსი – 66434.

გმადლობთ თანადგომისათვის!

„სრ“-ის რედაქცია.

◎ ინტერპანორამა

მსოფლიოს უდიდეს სამგზავრო ლაინერს („Queen Mary 2“), შესაძლოა, ცეცხლი გაუჩნდეს, რადგან ის არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებს. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, 150 ათასი ტონა წყალწყვის უზარმაზარ ლაინერს, 1300 კაიუტაში ცუდად აქვს დამონტაჟებული სამხანძრო...

საუდის არაბეთის გავლენიანი გაზეთი „ალ ჯაზირა“, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, იუწყება, რომ კუვეითელი მოხალისეები, მეზობელი სირიის გავლით, ერაყში ჩავიდნენ და ადგილობრივი რადიკალური ისლამური დაჯგუფების მებრძოლნი გახდნენ. ზოგიერთი კუვეითელი უკვე დაიღუპა ფალუჯასთან, ალ-ჰილთან და სხვა რაიონებში მომხდარი შეტაკებების დროს.

დიდ ბრიტანეთში 27 მილიონი დოლარი გამოჰყვეს რუსეთში ატომური-ბირთული მავნე საწვავის ნარჩენების სამარხის ასაგებად. სამარხი აშენდება მურმანსკის ფლოტის სიახლოვეს...

საქართველოს რესპუბლიკა
№ 146. შაბათი, 25 ივნისი, 2004 წელი

◎ კანონმდებლები

რა ატირებთ ოპონენტებს?

(პირველი გვერდიდან)

ცხარე დებატების მიუხედავად, დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ კანონპროექტს მხარდაჭერა გამოუცხადა.

აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭო ფუნქციონირებას შეწყვეტს, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს გამოაცხადებს და ახალი უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებას სცნობს.

გუშინ პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კოტე კემულარიას კანდიდატურას კენჭი უყარა. მას ხმა 176 პარლამენტარმა მისცა, წინააღმდეგი მხოლოდ ერთი იყო.

ეურნალისტებთან საუბარში კემულარიამ აღნიშნა, რომ სასამართლოში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. „რა თქმა უნდა, არის პრობლემებიც. მათ შორის საბოგადოებაში გაჩენილი აზრი კორუფციული ელემენტების შესახებ. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სასამართლოს დამოუკიდებლობა. სასამართლოს მუშაკებმა კი თავად უნდა შეძლონ ისეთი სისტემის ამოქმედება, რომ სასამართლო სახელმწიფოს საყრდენი იყოს“, – განაცხადა კოტე კემულარიამ.

ვნახოთ, აგერ არა ვართ?

ეზია გელენავა.

რაიონში ერთი ტრანსფორმატორი ვერ აღუდგენიათ, ხელფასი კი 3000 ლარი აქვთ!

პარლამენტის მაჟორიტართა კორპუსი რეგიონების ელექტრომომარაგებაში შექმნილი მდგომარეობით დაინტერესდა და გუშინ, პარლამენტში, ენერგეტიკოსები მიიწვია.

ფრაქციების მაჟორიტარები და ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარის“ წევრები საქართველოს რეგიონებში შექმნილ ენერგოკრიზისს აპროტესტებენ და ენერგეტიკის სამინისტროს სთხოვენ, შესაბამისი გრაფიკის შემუშავებას, რომელიც ქვეყნის რეგიონების ელექტრომომარაგებას უზრუნველყოფს.

“სისტემაში მომუშავე უცხოელი კომპანიები კრიზისს ერთმანეთს აბრალებენ. ან ისინი წავლენ, ან თქვენ წახვალთ, თუ არა და მოგვეცით გრაფიკი, სადაც მარგიები, კონკრეტული სქემა იქნება ასახული, როგორ უნდა გამოსწორდეს ქვეყნის რეგიონების ელექტრომომარაგება,“ – მიმართა ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე ხონის მაჟორიგარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს ალეკო ხეთაგურს.

როგორც ბობოხიძემ აღნიშნა, ენერგოკომპანიებში დასაქმებულებს 3000 ლარის ოდენობის ხელფასი აქვთ, იმ პირობებში, როცა რაიონში ერთი ტრანსფორმატორის შეკეთებას ვერ ახერხებენ.

მაჟორიტარები მზად არიან პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელოს, რათა უცხოელ მენეჯერებთან გაფორმებული კონტრაქტები გადაიხედოს. „ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოორგანიზაციების ოპერაციულ სამეურნეო მართვაში ჩარევის უფლება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ გააჩნია. სექტორში მოღვაწე კომპანიებსა და ორგანიზაციებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია აკონტროლებს,“ – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა.

ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე გადაწყდა, რომ შეიქმნება პარლამენტართა რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის წარმომადგენლებს და ენერგოსექტორში დასაქმებულ მოღვაწე სხვა ორგანიზაციებს სისტემატურად შეხვდება და შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მიიღებს.

“მაჟორიტარებს მოსახლეობის წინაშე განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა გვეკისრება, ამიგომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რაგომ არ არის რეგიონებში ელექტროენერგია.“ – განაცხადა ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიგარის“ თავმჯდომარემ ვანო ჩხარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში განთავსებული ჩაის ფაბრიკები ელექტროენერგიის უქონლობის გამო ჩაის ფოთოლს ვერ იღებენ. ამით გარალდება როგორც ფაბრიკები, ისე გლეხებიც.



ინტერ-პრესი.

◎ კონფლიქტის ზონა

ქართული სოფლების განწყობილება ვაჟკაცურია

ამ დღეებში ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოსაგვარებლად ცხინვალსა და ტყვიავში შეხვედრები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, პარლამენტის წევრები.

პრობლემის შესახებ თავის მოსაზრებას გვიზიარებს დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მაჟორიგარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი:

– დაძაბულობა შეიმჩნევა თვითონ ქალაქ ცხინვალსა და ოსურ სოფლებში, ოს მოსახლეობას იარაღი დაურიგეს, ფორმები ჩააცვეს – ბატალიონებს ქმნიან...

– ქართულ სოფლებში როგორი მდგომარეობაა?

– დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართულ სოფლებში, ბუნებრივია, დაძაბულობა შეიმჩნევა, ოღონდ შიში და ამის მაგვარი რამ არავის აქვს. ღმერთმა ქნას, რომ მშვიდობიანად დამთავრდეს ყველაფერი, აღარასოდეს განმეორდეს ის უბედურება, რაც 1991-93 წლებში მოხდა.

– ერთი კვირის წინათ ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ხეობიდან ბავშვები გაჰყავდათ...

– ეს სიცრუეა. არც ერთი ბავშვი არავის გამოუყვანია იქიდან. კიდევ გიმეორებთ, ქართული მოსახლეობის განწყობა მართლაც ვაჟკაცურია.

– ამ ბოლო დროს ისიც ითქვა, თითქოს როკის გვირაბს მალე გაკონტროლებს საქართველო...

– დღემდე როკის გვირაბს და მის მიმდებარე ტერიტორიას ქართული მხარე ვერ აკონტროლებს. ეს ჯერჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია. რაც შეეხება ერედვიხეთის ასაქცევ გზას, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ წინა დღეებში ქართველმა მინისტრებმა სოფლებში ცხინვალის ვაკეთ ჰუმანიგარული გეზირთები დაუბრკოლებლად ვერ შეიგანეს. ამ ახალი გზით კი ეს შესაძლებელი გახდა და რამდენიმე დატვირთული მანქანა კიდევ გადავიდა იქითა მხარეს. კერძოდ, ოთხჯერ შეიგანეს სასუქები და კვების პროდუქტები დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში...

– ოსური მოსახლეობა თუ იღებს ჩვენს დახმარებებს?

– იქ შევეხწარი ფაქტს, რომ ოსი მოსახლეობა ჩუმად გამოდის ამ გვირთის წასაღებად, ოღონდ გეთხოვენ, ჩვენი გვარები არ გაამხილოთო, რადგან იქაური მთავრობისა ეშინიათ.

– ესე იგი, თქვენი თქმით, მოსახლეობას იმედი გაუჩნდა, რომ მათზე ზრუნავენ.

– თოთხმეტი წელიწადია ეს მხარე არავის გახსენებია. ოფიციალურ თბილისს რაგომღაც ეგონა, რომ კონფლიქტი მოგვარებული იყო. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა ფაქტის წინაშე დავდექით. აღმოჩნდა, რომ რეალობა სხვაგვარია და მხოლოდ ახლა იწყება ამ კონფლიქტის მოგვარებისთვის მუშაობა.

ცხინვალთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა საქართველოს პრეზიდენგისა და პარლამენტის პოზიციები, ხოლო მთელი საქართველოს მოსახლეობის პოზიცია, ასევე, ხელისუფლების პოზიციის იდენტურია: ცხინვალი უნდა დავიბრუნოთ, რაც შეიძლება მალე!

ამავე პრობლემაზე თავის შეხედულებას გვიზიარებს პარლამენტარი ნოდარ გრიგალაშვილი:

– ცხინვალის ხელისუფლება აგონიაშია, თავის უფროს ძმებთან ჩრდილო ოსეთის ხელმძღვანელობასთან და რუსებთან მირბიან და მორბიან და ცდილობენ, საქართველოსგან მგლის სახე შექმნან, არიქა, „მგელი მოდის, მგელი მოდისო“. ვითომ ეს „მგელი“ იქ იარაღის ძალით მივა... და იმდენს იყვირებენ ამას, რომ ყველას დაღლიან და ერთ მშვენიერ დღეს „მგელი“ მართლაც შეიძლება მივიდეს...

– ეს, რაც შეეხება თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას... მაგრამ რას იგყვით იქაურ მოსახლეობაზე, უბრალო ადამიანებზე?

– ოს მოსახლეობას ჩვენთან ყოფნა უნდა. ისინი დახმარებებსაც იღებენ. მათ იციან, რომ საქართველოში ცხოვრობენ და რომ ქართველი და ოსი ისგორიულად ძმები, ერთმანეთის ნათესავები, ერთმანეთის მოყვრები არიან. ქართველი და ოსი ხალხები ერთმანეთს არაფერს ერჩიან, მათ შორის პრობლემებს ამწვავებს რუსეთის მიერ დაქირავებული რამდენიმე აგენგი... ბოლოს ყველაფერი ნათელი გახდება და ყველაფერი კარგად დამთავრდება.

ესაუბრა
ანა შალვაშვილი.

◎ რა კანონი მოდის?

სიტყვის გამო კაცი ციხეში არ უნდა წავიდეს

კანონპროექტში „სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ“, რომელიც 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, ბევრი რამ შეიცვალა. თავად სახელწოდებაც გამოიცვალა, თანაც ორჯერ. პირველად დაერქვა კანონი „სიტყვის თავისუფლების შესახებ“, მერე კი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. მართალია, ეს არ არის კლასიკური პრესის კანონი, მაგრამ მისით ყველაზე მეტად მაინც მედიაა დაინტერესებული. გიგა ბოკერია აცხადებს, რომ ამ კანონპროექტით პრესის თავისუფლების შეზღუდვა იზღუდება, რადგან სიტყვის თავისუფლება სხვა უფლებების დაცვის გასაღებია.

იურისტ ლევან შუშაშვილის აზრით, ეს კანონი განცალკევებულად არ უნდა განვიხილოთ.

– მისი პირველი ვარიანტი ინფორმაციის თავისუფლების კანონთან ერთად შემუშავდა. კონცეფცია ასეთი იყო: ერთი მხრივ, ინფორმაციის თავისუფლება საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისთვის გეჭირდება, მეორე მხრივ, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თავისი აზრის, ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების საშუალება. ეს ორი კანონი ერომანეთს ავსებდა. ახლა, წლების შემდეგ, როგორც იქნა, საშველი დაადგა კანონპროექტის განხილვას. უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ეს არის კანონი არა მხოლოდ ეურნალისტებისთვის, არამედ, საერთოდ, მოქალაქეებისთვის. მაგრამ სიტყვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, ამ კანონის ყველაზე ხშირი „მომხმარებლები“ ეურნალისტები იქნებიან. ამიგომ ჩნდება კანონში გარკვეული ჩანაწერები ეურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგალითად, რედაქციის პასუხისმგებლობა რომელიმე ეურნალისტის სტატიაზე.

ლევან უსუფაშვილს რედაქტორის ყურადღების გასამახვილებლად ეს მუხლი საჭირო მექანიზმად მიაჩნია. ამის შემდეგ, გაზეთის მესვეურები უფრო ფრთხილად მოეკიდებიან პუბლიკაციების ხარისხს, არგუმენტირებულობას, ფაქტების სიზუსტეს.

– რედაქციის პასუხისმგებლობის გაზრდა მედიაპროდუქციის ხარისხის ამაღლებამდე მიგვიყვანს. დღეს ტექნიკურად, ასე თუ ისე, განვითარდა პრესა და ტელევიზია, მაგრამ შინაარსობრივად დაბალ საფუხურზე დარჩა. განსაკუთრებით სუსგია ანალიგიკური მასალები. ახლახან ჩემთან ორი ეურნალისტი მოვიდა ისეთ თემებზე სასაუბროდ, რომლებზეც წარმოდგენა არ ჰქონდათ. მოვიდნენ არა იმისთვის, რომ ჩემი მოსაზრებაც გაეგოთ, არამედ იმისთვის, რომ ჩემგან გაეგოთ ყველაფერი ის, რაც მათ წინასწარ უნდა მოემზადებინათ და სცოდნოდათ. თუ ასეთ ეურნალისტს რედაქტორი სამსახურში აიყვანს, კეთილი უნდა ინებოს და პასუხი აგოს თავისი თანამშრომლის მასალაში არსებულ უზუსტობაზე, შეურაცხყოფაზე, ცილისწამებაზე.

შეცვლილ კანონპროექტში აღარ არის ის მუხლები, რომლებიც ცილისწამების შემთხვევაში მოსარჩელესა და მოპასუხეს (მედიას) შორის ურთიერთობებს არეგულირებდა. ყველაზე მეტი მითქმა-მოთქმა სწორედ ამან გამოიწვია. ცილისწამება მალე აღარ ჩაითვლება სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად, სამოქალაქო სამართალში გადაინაცვლებს. ცილისმწამებელს ფულადი კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

– სიტყვით მიყენებული ზიანისთვის აღამიანის ცხოვრებაში ჩასმა სწორი არ არის. როცა სასამართლო მოქალაქეს გაამტყუნებს, ცილისმწამებელს უწოდებს, ეს უკვე აღეკვატური რეაგირებაა. ის, ვინც თავისი სიტყვით ვინმეს შერცხვენას ცდილობდა, თავად იქნება შერცხვენილი. ამასთან, აანაზღაურებს მიყენებულ მორალურ ზიანს. რეპუტაცია ძალზე მნიშვნელოვანია. როცა სასამართლოს გზით ეურნალისტის ცილისმწამებლობა გამოვლინდება, მან, წესით, პროფესია უნდა დაკარგოს. აღამიანებმა ცილისწამებაზე უარი იმიგომ კი არ უნდა განაცხადონ, რომ ცხოვრებაში ჩასმის ეშინოდეთ, არამედ იმიგომ, რომ ეს სამარცხვინო საქციელია.

ჩემი რესპონდენგი მნეობრივ საკითხებთან ერთად მეორე მნიშვნელოვან მხარესაც აღნიშნავს. ამ ცვლილებების გარეშე სახელმწიფოს ხელში ეფექტიანი იარაღი ექნება ოპოზიციური სიტყვის ჩასახშობად.

– ვერც ერთ მოქალაქეს ვერ ექნება დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულებანი იმის შესახებ, რომ, ვთქვათ, რომელიმე რაიონის პოლიციის უფროსმა ქრთამი აიღო. მაგრამ მეზობელი ხედავს, რომ ამ კაცმა თანამდებობაზე დანიშვნიდან სამი თვის შემდეგ ვილა ააგო და რამდენიმე მანქანა შეიძინა. რა უნდა ქნან ასეთ შემთხვევაში მოქალაქეებმა? პირში წყალი ჩაიგუბონ იმის გამო, რომ ვიდეოფირზე არ აქვთ აღბეჭდილი ქრთამის აღების შემთხვევები? პირიქით, უნდა იყვირონ, დაუბრკოლებლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები: რაკი იმ პოლიციელ ჩინოსანს განძი არ უპოვია, სამი თვის ხელფასით კი ვილას ვერ აამენებდა, ესე იგი, კორუმპირებულიაო. თუ ვფიქრობთ, რომ სიტყვის თავისუფლების დასამკვიდრებლად განსახორციელებელი ღონისძიებები დღეს არასაკმარისად იცავს ადამიანის პაგივსა და ღირსებას, საწინააღმდეგო ქმედებებს ამ მსხვერპლზე წასვლა სჯობს. პაგივისა და ღირსების დაცვის მიზნით სიტყვის თავისუფლების ზედმეტი შეზღუდვით ხელისუფლებას მივცემთ სერიოზულ ბერკეტს, რითაც მისი წარმომადგენლები მუდმივად მართლები იქნებიან. ამასთან, მაინცდამაინც ვერც უბრალო ადამიანების პაგივსა და ღირსებებს დავიცავთ.

ის, თუ რამდენად დაიჯერებს ხალხი გავრცელებულ ხმებს, ბევრად არის დამოკიდებული ცილისმწამებლისა და „ცილდაწამებულის“ ავგორიტეგზე, იმაზე, თუ ვის ენდობიან და ვის – არა. ავგორიგეგულ გაზეთში გადაუმოწმებელი ინფორმაცია, წესით, არ უნდა მოხვდეს. ყვითელი პრესის მსუბუქ ჭორებს კი მკითხველიც მსუბუქად მოეკიდება. თუ არადა, მგყუან-მართალს სასამართლო განსჯის.

ასეა, თუ მე ცილი დაგწამეთ თქვენ, ეს საქციელი გაცილებით მეგს ამბობს ჩემზე, ვიდრე თქვენზე.

რუსუდან გახარია.

◎ ინფორმაცია

რეგიონი

ცხენისწყალზე ხიდი ჩაინგრა

გუშინ ხონის რაიონში, მდინარე ცხენისწყალზე სამანქანო ხიდი ჩაინგრა, რომელიც ერთ-ერთი დამაკავშირებელი იყო იმერეთსა და სამეგრელოს შორის. ხიდის ჩანგრევა ბურჯების დაზიანებამ გამოიწვია. წყალმა დროთა განმავლობაში საყრდენი ძირები გამორეცხა.

სპეციალისგების თქმით, ხიდი საკარაუდოდ თავის დროზეც არასწორად იყო აგებული, რაც ნგრევის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ამ დროისათვის, ხონსა და მარგვალის რაიონებს შორის მიმოსვლა შეწყვეგილია. შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც მარალს შეისწავლის და აღდგენით სამუშაოებს დაიწყებს.

მეგალურგია

საპროტესტო აქცია უზენაესი სასამართლოს წინ

რუსთავის მეგალურგიული კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა უზენაესი სასამართლოს წინ საპროგესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეების განცხადებით, გუშინ უზენაეს სასამართლოს კომბინატის ინვესგორის სარჩელი უნდა განხილა. დაინგერესებული ძალები კი ცდილობდნენ, მოსამართლეზე ძალდატანების შედეგად სასურველი შედეგი მიეღოთ. „დაინგერესებული ძალები სარგებლობენ იმით, რომ სასამართლოს თავმჯდომარე არ ჰყავს,“, – აღნიშნა მეგალურგთა პროფკავშირების თავმჯდომარემ. მისი თქმით, ინვესგორს უპირისპირდება კომპანია „კილიგარდ-ინვესგი“, რომელიც ოფშორულ ზონაშია რეგისგრირებული და რომელიც დღემდე ხელისუფლების კორუმპირებული ჩინოვნიკების საფინანსო ინგერესების გამგარებელია. „საგულვარაოა, რომ ძველების დანაშაულებრივ ინგერესებს კარგად მოერგო ახალი ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსანი და ისინი ერთად ცდილობენ, ჯერ ინვესგორი გაიყვანონ საწარმოდან, შემდეგ კი ხელში ჩაიგდონ მთლიანად კომბინაგი“, -აღნიშნა პროფკავშირის თავმჯდომარემ.

საპროგესგო აქციის მონაწილეები სასამართლოსგან ობიექგური გადაწყვეგილების მიღებას ითხოვენ. კომბინაგის მუშა-მოსამსახურეები გეგმავენ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართონ და „კილიგარდ-ინვესგის“ საქმეების შესწავლა მოითხოვონ.

აქცია

ნათელაშვილი „ენაზე მრიცხველების დაყენების“ გამო...

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი „მოსახლეობისათვის ენაზე მრიცხველების დაყენების“ პერსპექტივას აპროგესგებს და იმ გადაწყვეგილების შეცვლას მოითხოვს, რომლის თანახმადაც დასაწყებ ლოებით ერთ თვეში, „ელექტროკავშირის“ აბონენგებს წუთობრივი გადასახადი დაუწესდებათ.

“ელექტროკავშირის“ ფასიან მომსახურებასთან დაკავშირებით, ნათელაშვილმა დღეს სახელმწიფო კანცელარიის წინ სპეციალური ბრიფინგი გამართა და ხელისუფლების პირველი პირებისა მოსახლეობის სოციალურ გენოციდში დადანაშაულა. იგი პრეზიდენგ სააკაშვილს „ელექტროკავშირის“ აბონენგების ქუჩაში გამოყვანითა და მასობრივი საპროგესგო აქციების დაწყებით ემუქრება.

ამასთან, ნათელაშვილს კომპანიის რეაბილიგაციისათვის საჭირო თანხების რეზერვებზე მითითება არ დავიწყებია. მშრომელთა ლიდერი ხელისუფლებას ურჩევს, „ელექტროკავშირის“ რეაბილიგაციისათვის სწორედ ის თანხები დახარჯოს, რომელიც პრეზიდენგის ახალი რეზიდენციის რეკონსგრუქციისათვის არის გათვალისწინებული.

პროცესი

„საქინფორმის“ სარჩელის განხილვა გადაიდო

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში სააგენგო „საქინფორმის“ თანამშრომელთა პროცესი მოპასუხე მხარის მიერ საქმის მასალების გაცნობის მოგვიანებით ერთი კვირით გადაიდო.

“საქინფორმის“ თანამშრომლები სასამართლოს ძალით, სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას მოითხოვენ. მათი თქმით, „საქინფორმის“ ყოფილი დირექტორის ბაბა ტალახაძის ინგერესს შენობის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა გაქირავება წარმოადგენდა და თანამშრომელთა დათხოვნაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

“საქინფორმის“ თანამშრომელთა განცხადებით, სააგენგოს მთლიანად ხელში ჩაგდებით ამჯერად ეროსი კოტრიკაძე მარიშვილია დაინტერესებული.

აღნიშნულ საქმეს მოსამართლე გ... ურ მეპონია უძღვება.

ინტერ-პრესი.

◎ როკის გვირაბი

აქ სასაზღვრო და საბაჟო პუნქტები უნდა გაიხსნას

როკის გვირაბის მიმდებარე ტერიგორიაზე, რომელსაც ამჟამად ე.წ. სამხრეთ ოსეთის დეფაქგო ხელისუფლება აკონგროლებს, შესაძლოა უახლოეს მომავალში საქართველოს სასაზღვრო და საბაჟო გამშვები პუნქგები გაიხსნას.

როგორც განსაკუთრებულ საქმეთა მინისგრი ეოგა ხაინდრავა აცხადებს, ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან და ხაინდრავა იმედს გამოთქვამს, რომ ეს მოლაპარაკებები შედეგიანად და წარმაგებით დასრულდება.

რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებით ე.წ. სამხრეთ ოსეთის დეფაქგო ხელისუფლებას, ხაინდრავას იმედი აქვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსული და ქართული მხარები შეთანხმდებიან, რუსულმა მხარემ რაიმე წინააღმდეგობა ამ გეგმის განხორციელებას არ და ვერ უნდა გაუწიოს.

ინტერ-პრესი.

◎ დიპლომატია

სალომე ზურაბიშვილი ვალერი ლოშჩინინს შეხვდა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისგროში რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი ლოშჩინინი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისგრს სალომე ზურაბიშვილს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა ასევე განსაკუთრებულ საქმეთა მინისგრი გიორგი ხაინდრავაც.

როგორც ლოშჩინინი აცხადებს, შეხვედრა საკმაოდ კონსგრუქციული იყო და საუბრის დროს მიმოხილული იქნა რუსულ-ქართული ურთიერთობების მთელი რიგი საკითხები. კერძოდ, ეთანრება ცხინვალის რეგიონში, სამხედრო საკითხები და რუსეთ-საქართველოს შორის მშვიდების პროცესში მყოფი „ჩარჩო ხელშეკრულების“ დეგალები.

როგორც ლოშჩინინი აცხადებს, ქართულმა, და რუსულმა მხარეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეგება მხოლოდ და მხოლოდ პოლიგიკური მეთოდებით მოხდეს და განხორციელდეს.

ლოშჩინინის თქმით, გუშინვე გაიმართა საქართველოს პრეზიდენგისა და რუსეთის პრეზიდენგის საგელეფონო საუბარი, თუმცა ლოშჩინინი თავს იკავებს იმ დეგალების გახმაურებისაგან, რაზეც საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენგებმა ისაუბრეს.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისგრი სალომე ზურაბიშვილი რუსეთის სამთავრობო დელეგაციასთან გამართული გუშინდელ მოლაპარაკებებით კმაყოფილია.

ზურაბიშვილის განცხადებით, დიპლომაგიური ეგიკეგი არ ითვალისწინებდა ამჟამად რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩთან ვალერი ლოშჩინინთან და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილესთან იური ზუბაკოვთან მოლაპარაკებებს სამხრეთ ოსეთის საკითხზე, ვინაიდან სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიგორიაა, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისგრო მხოლოდ საგარეო საქმეებს კურირებს, თუმცა, როგორც სამინისგროს ოფიციალური პირი ამბობს, ეს ეგაპი ადეკვაგური რეაგირებაა. ის, ვინც თავისი სიტყვით ვინმეს შერცხვენას ცდილობდა, თავად იქნება შერცხვენილი. ამასთან, აანაზღაურებს მიყენებულ მორალურ ზიანს. რეპუგაცია ძალზე მნიშვნელოვანია. როცა სასამართლოს გზით ეურნალისგის ცილისმწამებლობა გამოვლინდება, მან, წესით, პროფესია უნდა დაკარგოს. აღამიანებმა ცილისწამებაზე უარი იმიგომ კი არ უნდა განაცხადონ, რომ ცხოვრებაში ჩასმის ეშინოდეთ, არამედ იმიგომ, რომ ეს სამარცხვინო საქციელია.

ჩემი რესპონდენგი მნეობრივ საკითხებთან ერთად მეორე მნიშვნელოვან მხარესაც აღნიშნავს. ამ ცვლილებების გარეშე სახელმწიფოს ხელში ეფექტიანი იარაღი ექნება ოპოზიციური სიტყვის ჩასახშობად.

– ვერც ერთ მოქალაქეს ვერ ექნება დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულებანი იმის შესახებ, რომ, ვთქვათ, რომელიმე რაიონის პოლიციის უფროსმა ქრთამი აიღო. მაგრამ მეზობელი ხედავს, რომ ამ კაცმა თანამდებობაზე დანიშვნიდან სამი თვის შემდეგ ვილა ააგო და რამდენიმე მანქანა შეიძინა. რა უნდა ქნან ასეთ შემთხვევაში მოქალაქეებმა? პირში წყალი ჩაიგუბონ იმის გამო, რომ ვიდეოფირზე არ აქვთ აღბეჭდილი ქრთამის აღების შემთხვევები? პირიქით, უნდა იყვირონ, დაუბრკოლებლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები: რაკი იმ პოლიციელ ჩინოსანს განძი არ უპოვია, სამი თვის ხელფასით კი ვილას ვერ აამენებდა, ესე იგი, კორუმპირებულიაო. თუ ვფიქრობთ, რომ სიტყვის თავისუფლების დასამკვიდრებლად განსახორციელებელი ღონისძიებები დღეს არასაკმარისად იცავს ადამიანის პაგივსა და ღირსებას, საწინააღმდეგო ქმედებებს ამ მსხვერპლზე წასვლა სჯობს. პაგივისა და ღირსების დაცვის მიზნით სიტყვის თავისუფლების ზედმეტი შეზღუდვით ხელისუფლებას მივცემთ სერიოზულ ბერკეტს, რითაც მისი წარმომადგენლები მუდმივად მართლები იქნებიან. ამასთან, აანაზღაურებს მიყენებულ მორალურ ზიანს. რეპუგაცია ძალზე მნიშვნელოვანია. როცა სასამართლოს გზით ეურნალისგის ცილისმწამებლობა გამოვლინდება, მან, წესით, პროფესია უნდა დაკარგოს. აღამიანებმა ცილისწამებაზე უარი იმიგომ კი არ უნდა განაცხადონ, რომ ცხოვრებაში ჩასმის ეშინოდეთ, არამედ იმიგომ, რომ ეს სამარცხვინო საქციელია.

◎ კომპეტენტური აზრი

როგორ საგადასახადო კანონს ვიღებთ?

რამდენიმე კონკრეტული მოსაზრება კოდექსის პროექტის თაობაზე

მთავრობამ, როგორც იქნა, დანაპირები შეასრულა და ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ინტერნეტით გამოაქვეყნა. მის ავკარგიანობაზე ექსპერტები და სპეციალისტები უკვე საუბრობენ და შენიშვნებსაც გამოთქვამენ. საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ქვეყანაში ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობაა. იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესაბამება ძირითად მიზანს კოდექსის გამოქვეყნებული პროექტი, საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების დოქტორის, თსუ პროფესორის სანდრო თვალჭრელიძის დახმარებით შევეცდები. ბატონ სანდროს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი აშკარად წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია, მაგრამ არსებობს ისეთი საკითხებიც, რომლებიც უსათუოდ უნდა მოგვარდეს.

ჩვენ კარგად უნდა გავითავისოთ, – ამბობს ბატონი სანდრო, – როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ. თუ გვსურს ისეთი სისტემის შექმნა, სადაც ყველაფერი ცენტრიდან უნდა იმართოს, მაშინ ეს კოდექსი საამისოდ შედგამოჭრილია. თუ მივდივართ ევროპისკენ და ვქმნით სამოქალაქო საზოგადოებას, მაშინ ძლიერი რეგიონები და ადგილობრივი ბიუჯეტები გვჭირდება, რასაც ეს კანონპროექტი არანაირად არ ემსახურება. როგორც პროექტიდან ჩანს, ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების წყაროდ ამ კანონპროექტით მხოლოდ სამი გადასახადი რჩება. ეს გახლავთ ქონების გადასახადი, რომლის ტვირთი ძალიან მცირეა; მიწის გადასახადი, რითაც მხოლოდ ხუთ ჰექტარზე მეტი ფართობები იბეგრება (ასეთი მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობა ერთ პროცენტზე ნაკლებია) და ამათ ემატება სათამამო ბიზნესის გადასახადი. დღეს რეგიონებში ეს ბიზნესი რამდენად არის განვითარებული და რა პერსპექტივა აქვს მას, ძნელი სათქმელია. აშდენად ადგილობრივი ბიუჯეტები კვლავ ცენტრალურ ბიუჯეტზე დამოკიდებული რჩება, რაც ძალზე მავნე და მახინჯი ტრადიციაა. არადა, ნორმალურ პირობებში უნდა ხდებოდეს, პირიქით, ძლიერი ადგილობრივი ბიუჯეტები ცენტრალურ ბიუჯეტს უნდა ამაგრებდეს.

გარდამავალ პერიოდში დღგ-ს გადასახადის 30 და მოგების 20 პროცენტი ადგილზე უნდა რჩებოდეს. როგორც პროფესორი სანდრო თვალჭრელიძე განმარტავს, ეს არის მინიმალური ზღვარი, რომლის შემცირება მიუღებელია. როგორც დღემდე ჩემთვის იყო ცნობილი, – ამბობს ბატონი სანდრო, – დივიდენდებზე გადასახადი უქმდებოდა, რაც თავისთავად დიდი მიღწევა გახლავთ, მაგრამ ერთია პრინციპების გამოცხადება, მეორე – რა კეთდება რეალურად. მთავრობის განცხადების მიუხედავად, კანონპროექტის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დივიდენდებზე არანაირი გადასახადი არ გაუქმებულა, რადგან ამავე კოდექსის პროექტის 192 - ე მუხლში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ დივიდენდები მათი წარმოშობის წყაროშივე მოგების გადასახადთან ერთად 10 პროცენტით იბეგრება. რა გამოდის? ცხადდება ერთი და კეთდება მეორე.

უფრო მეტიც, ყველაზე დიდ უხერხულობას ამ კანონპროექტში კვლავ დღგ-ს გადასახადი იწვევს. იგი მართალია ორი პროცენტით შემცირდა, მაგრამ იქვე, 241-ე მუხლში, კვლავ დაგოვებულია ავადსახსენებელი ყვითელი ანგარიშფაქტურები. ამან თავის დროზე საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი მოკლა. როგორც ცნობილია, ეს ბიზნესი ძირითადად ვაჭრობასა და მომსახურების სფეროზეა ორიენტირებული. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მარტო თბილისში რამდენიმე ასეული რესტორანი და პატარა კაფეა. ყველასთვის ცნობილია, რომ ისინი პროდუქტს დილაობით ბაზარზე ყიდულობენ და არანაირი ყვითელი ანგარიშფაქტურა მათ არ აქვთ. ესე იგი დამატებული ღირებულების გადასახადი ამ სფეროში კვლავ ბრუნვის გადასახადად რჩება და ასეთ შემთხვევაში 18 პროცენტი ძალიან დიდია.

საქართველოში მეწარმეობა დამატებული ღირებულების ოცპროცენტიანი გადასახადის კი არა, სწორედ ამ ყვითელი ანგარიშფაქტურების გამო, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო გასცემს, ჩაეარდა გამოუვალ მდგომარეობაში. ასეთი გიპის ანგარიშგება არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ არსებობს.

როგორც პროფესორი თვალჭრელიძე შენიშნავს, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სააქციზო მარკებს, რომელიც ჩვენთან კორუფციის უზარმაზარ წყაროდაა გადაქცეული. თუკი ქვეყანაში აღრიცხვიანობის პრობლემა გვარდება, მაშინ რისთვისაა საჭირო სააქციზო მარკები?

ჩვენ არ ვაწესებთ სააქციზო მარკებს ბენზინზე და ამ სექტორიდან ადმინისტრირების ფარგლებში ვკრეფთ გადასახადებს.

თუნდაც ავიღოთ ღვინო. ბოთლში ჩამოსხმული ღვინოს სააქციზო მარკები აქვს, მაგრამ ჩამოსასხმელი ღვინითა და სხვა ამგვარი სასმელებით ვაჭრობა სააქციზო მარკების გარეშე ხდება. როგორ ფიქრობთ, ჩვენი მოსახლეობის რამდენი პროცენტი ყიდულობს ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინოს? ბევრად ნაკლები, ვიდრე ჩამოსასხმელს. სააქციზო მარკები არც საექსპორტო პროდუქციისთვის არის საჭირო. მაშინ რა მიზანს ემსახურება ამ შემთხვევებში იგი?

ბატონ სანდროს მიაჩნია, რომ კანონპროექტში სხვა საკამათო მუხლებიცაა, მაგრამ ეს მაინც წვრილმანი შენიშვნებია იმასთან შედარებით, რაც ბუნებითსარგებლობის პრინციპებს შეეხება. როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტრომ არაფერი არ იცის ბუნებითსარგებლობის შესახებ. თავის დროზე მე და ბატონი ზურაბ ნოღაიდელი თავაზიანად ვმუშაობდით წიაღის შესახებ კანონპროექტის შექმნაზე. მაშინ ჩვენ შემოვიღეთ დაბეგვრის სისტემის ნორმალური მექანიზმები, მაგრამ ეს პროექტი არ გავიდა პარლამენტში განსახილველად. ის რაც არსებობს, „როიალტი“ ეს არის აფრიკის ქვეყნების შეაფერისი გადასახადი. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ეს სრული ნონსენსია. ახალი კანონპროექტი გაყიდული და არა მოპოვებული ნედლეულიდან ორიდან ოთხ პროცენტამდე გადასახადის დაწესების შესაძლებლობას იძლევა, რაც ჩვენი წიაღით სარგებლობისთვის სრული კატასტროფის ტოლფასია.

მაგალითისთვის აკიღოთ მადნეულის საბადო. იქ მადანს მოპყვება ტყვია, თუთია, სპილენძი, ბარიტი, ოქრო და ვერცხლი. ჩვენ კი მადნეულში მოვიპოვებთ და ვყიდით მხოლოდ სპილენძს და ოქროს, დანარჩენი და გადაყრილი მადანი არ იბეგრება. ჩვენ ამ მადანს, რომელსაც საკმაოდ დიდი ღირებულება აქვს, სამუდამოდ ვკარგავთ. მეორე მხრივ, დაბეგვრის ასეთი სისტემა, რომელიც გაყიდული ოქროს ნულიდან ხუთ პროცენტამდე დაბეგვრის სამუალებას იძლევა, ქმნის კორუფციის საყრდენს. თქვენ ერთ პროცენტს დაუწესებთ ბიზნესმენს გადასახადს თუ ოთხს, ვერავინ შეგედავებათ. ასეთი სისტემის შექმნა დაუშვებელია. ანალოგიური ვითარებაა ტყით სარგებლობისასაც. კანონპროექტში ჩადებულია ისეთი მექანიზმი, რომელიც პირდაპირ გეუბნება: მომპარე, გამაკოტრე! აი, ასეთ კანონს ვიღებთ.

ჩვენ გვაქვს წინა საგადასახადო კანონმდებლობის გამოცდილება. ახლა მაინც უნდა გამოვასწოროთ ის შეცდომები, რასაც ამ ხნის განმავლობაში ვუშვებდით.

არსებობს სხვა ეკონომიკური მექანიზმები, უკეთესი მეთოდები, რომელსაც იცნობენ სპეციალისტები. ამიგომ უნდა დაიძლიოს ამბიციები და ასეთი სპეციფიკური დარგის საგადასახადო სისტემები საქმეში ჩაუხედავ ხალხს კი არა, პროფესიონალებს შევაქმნევინოთ.

ახალი საგადასახადო კანონპროექტის ძირითად ნაკლად პროფესორ სანდრო თვალჭრელიძეს სწორედ ეს მიაჩნია, თუმცა იგი აქვე აღნიშნავს, რომ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის მხრივ იგი აშკარად პროგრესულია.

სოციალური, სამემოსავლო გადასახადების შემცირება მთავრობის მხრიდან თამამი და მოსაწონი ნაბიჯია. თუმცა არც აღნიშნული ხარვეზების გამო შეიძლება შევქმნათ ტრაგედია, რადგან კანონპროექტი სწორედ იმისთვის გამოქვეყნდა, რომ სპეციალისტებმა თავისი აზრი გამოთქვან და შენიშვნები გააკეთონ.

აქვე ბატონი სანდრო იმასაც აღნიშნავს, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებში თუ არ ჰყოფნით კომპეტენცია (ამ კანონპროექტიდან ჩანს, რომ ეს ასეა), მე და ჩემი კოლეგები მზად ვართ, უსასყიდლოდ დავეხმაროთ მათ ამ ხარვეზის გამოსწორებაშიო.

იმედია, მთავრობა სპეციალისტთა აზრს გაითვალისწინებს და ისეთ საგადასახადო კოდექსს შექმნის, რომელიც ჩვენს ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს.

ზოთა მაჭარაშვილი.

◎ მხარე

შეფოხენ ბატალიონს

ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პირობებზეა დამოკიდებული მათი გუნებაგანწყობილება და, რაც მთავარია, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონეც. აქსიომაა, რომ ძლიერი ჯარი, ძლიერი სახელმწიფოა. ქართული მინაგანი ჯარის ისტორიაა ერთ ათეულ წელზე ცოტა მეტს ითვლის. პირველ რიგში ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პირობებია გასაუმჯობესებელი. კარგია, რომ „ვარდების რევოლუციის“ სიო აქაც იგრძნობა. დღეს ქვეყნის პრეზიდენტის ყურადღების ცენტრშია მოქცეული სამხედროების ლხინიც და ჭირიც.

შინაგანი ჯარის ზუგდიდის ბატალიონის (მეთაური – რობერტ ქეცბაია) პირადი შემადგენლობა ძირითადად სამეგრელო-ზემო სვანეთის მკვიდრებით არის დაკომპლექტებული. რა დასამალია, რომ ბატალიონი მწვავე საყოფაცხოვრებო პრობლემების წინაშე იდგა, რაც მხარის გუბერნატორს ლერი ჭითანავას უყურადღებოდ არ დარჩენია. მისი ინიციატივით ზუგდიდის, წალენჯიხის, მარტვილის, აბაშის, ჩხოროწყუს, სენაკის და ხობის რაიონული გამგეობის მიერ გაღებული სახსრებით, ამას წინათ, 70 კომპლექტი ქვეშაგი გადაეცა ბატალიონს, ინდმეწარმე თემურ ყორშიამ 100 კგ. შაქარი, 100 კგ. პურის ფქვილი, 100 კგ. იოდიზებული მარილი, 170 ცალი საპონი, სამასი ბოთლი „კოკა-კოლა“ და 3 ფეხბურთის ბურთი მოუტანა ჯარისკაცებს, საავტომობილო ტრანსპორტის სამხარეო სამმართველომ კი ასასი ცალი კოვზი და ჭიქა აჩუქა ბატალიონის პირად შემადგენლობას.

მხარის გუბერნატორისა და რაიონების გამგებლების ბატალიონის პირად შემადგენლობასთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ ასეთ შეფობას სისტემური ხასიათი მიეცემა, მხარის საბიუჯეტო და კერძო სამეურნეო ორგანიზაციები, აქ მოქმედი ბიზნესმენები ბატალიონისთვის პერიოდულად გაიღებენ შეწირულობებს.

ოდიკ ძუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

◎ ცოცხალი წინაპარი

ძეგლების ღალადი

განგაშის სიგნალი კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან

ისეთი ქვეყნებიც ვიცით, წერაქვს რომ დაპკრავ და ნავთობი ამოზუხზუხდება. ჩვენი პატარა ქვეყნის კიდევ უფრო პატარა კუთხეში, კასპის რაიონში კი, პირველ დარტყმაზე ხმას არ გაგცემს მიწა – კიდევ უნდა დაპკრა, შემდეგ ბარ-ნიჩაბი მიაშველო და თითქოს მიწამ საკინძე შეიხსნა, რომ ხარკი გადაუხადოს ჩვენს ცნობისმოყვარეობასო, თავის ყველაზე იდუმალ კუნჭულებში ჩაგახედებს. მიწისქვეშეთში ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი დიდი კულტურაა დავანებული – ოქროს სამკაულები, მონეტები, ვერცხლი და მინანქარი, მძივებად ასხმული პატიოსანი თვლები, საბრძოლო იარაღი, კერამიკა და სხვა საყოფაცხოვრობო ნივთები.

ეს – რაც მიწის ქვეშაა. ახლა მიწის ზევით?

აქაური მიწა ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლებით დახუნძლულა. თქმა არ უნდა, სახლიც უნდა ააშენო, უნდა ხეც დარგო, შვილებიც დაბარდო; მაგრამ ასევე ვალდებული ხარ, იცოდე შენი ისტორია: ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც მოიხილო რკონის სამონასტრო კომპლექსი (VIII ს.) ან ფავნისის (IX-X ს.ს.), იკვის (XII ს.), ქვათახევის, ერთაწმინდის (XII-XIII ს.ს.) გაძრეები, ლამის დღემდე პირვანდელი სახით ჩვენამდე მოღწეული რკონის ერთმანეთი ხიდი, ცხირეთის (XI ს.) და სხვა ციხე-მონასტერ-დარბაზები.

დიდია ერთი აქაური კაცის დამსახურება, გარჯა და რუდუნი ამ სიძველეების, ისტორიული ძეგლების პატრიონობისა და დაცვის, არქეოლოგიური გათხრების ხელშეწყობის, ექსპონატების შეკრება-პირველადი დამუშავების საქმეში.

კასპის რაიონის მკვიდრზე, ცნობილ ქართველ მწერალზე გიორგი ხორგუაშელზე მოგახსენებთ. იგი 43 წელია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს თავეკაცობს. მის სახელს უკავშირდება მუზეუმის „ბეღლობილების“ – ხოლეში ივანე ჯავახიშვილის, სასარეთში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმების, ლამისყანაში ორბელიანთა სასახლე-მუზეუმისა და კასპის სამხატვრო გალერეის დაარსება და პატრონობა. ყველას ვერ ჩამოთვლი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ფილიალებში დაცულია 35 359 ექსპონატი. საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში გამოფენილი რაიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული უფრო მნიშვნელოვანი მასალების გარდა, მუზეუმის საცავებში ინახება ძვ. წ. III-II საუკუნეების დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება, ასევე ძვ. წ. III საუკუნით დათარიღებული მოოქროვილი ვერცხლის დისკო, ფოსტიბეში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთა და ვერცხლის თასი (ახ. წ. II-III ს.ს.) ჯამები, დოქები, თასები და სხვა ძველებური კერამიკა.

მოკლედ, ამ პატარა ქალაქის მუზეუმის ექსპონატებს ბევრი დიდი ქვეყანა ინატრებდა.

ყველაფერი ეს საიმედოდ კი ინახება, მაგრამ ვერ გამოუფენიათ – მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა საეალალო მდგომარეობაში, თავად შენობა ხომ... სახურავს შეაკეთებენ, გავა ცოტა ხანი და კვლავ წყალი ჩამოდის, ისევ შეაკეთებენ – ისევ წყალი, (ატმოსფერულ ნალექებს რა გამოლევს – წვიმა წამოვა და უყარე კაკალი!) მუზეუმში თელიან, რომ ეს შეგნებულად ხდება, რომ წყალი მუდმივად უნდა ჩამოდიოდეს სახურავიდან, რათა ეიღაცას მუდმივად ჰქონდეს შემოსავალის წყარო. შესაგიხრია ოთახები, შესალესია კედლები, შესაცვლელია ნახევარი საუკუნის წინათ ჩასმული კარ-ფანჯარა და დგამ-ავეჯი. ამ და სხვა მიზეზების გამო დიდი ხანია აღარ გარდებ. სამუზეუმო ღონისძიებები.

გიორგი ხორგუაშვილმა, სამამული საქმეებისთვის შეწირულმა ამ დროულმა კაცმა, აღმა-დაღმა სირბილი და აქეთ-იქით მიდგომა-მოდგომა არ დააკლო კოლექციის გასაჭირს, პირადი ცხოვრებაც გვერდზე გადადო და ლამის საკუთარი შემოქმედებაც. შედეგად? შეპირებები, სინანული („ოჰ, ოჰ, მუზეუმი რა დღეში ყოფილა, სირცხვილით თავი სად გამოვყო თო“), მეგობრულად მხარვე ხელის თათუნი, ზეპირი განკარგულებები, განცხადებებზე გულისამაჩუყებელი რეზოლუციები და სხვა მისთანანი.

საქმე კი ადგილიდან არ იძვრის...

დღეს მუზეუმის კაპიტალურ რემონტზე აღარც საუბრობენ, წყლის ნაყვაა ყველაფერიო, მიაჩნიათ კოლექტივში.

მაგრამ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფონდს, სრულებითაც არ მიიჩნია წყლის ნაყვად კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პრობლემები. მუზეუმისადმი მხარდაჭერა ფონდმა იმით გამოხატა რომ გემოვნებით და მდიდრულად დასგამბა – მადლობა მას ამისთვის! – პროსპექტები „კასპის მუზეუმის აქოლო�იური ექსპონატები“, „ვარჯაანის ეკლესიის ხის კანდელი კასპის მუზეუმიდან“, „დიონისეს ქანდაკება და ბრინჯაოს საურ. კასპის მუზეუმიდან.“

რა განძი გვქონია, რა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის პატრონები ვართ! მით უფრო საშური საქმეა შეეხიდოთ კასპის მუზეუმის გასაჭირს. ღმერთმა ინებოს, რომ ეს პროსპექტ-ბუკლეტები იმათაც ჩაუვარდეს ხელში, ვისაც ფულიც აქვს და გიორგი ხორგუაშვილსებურადაც უმეცრის გული.

გურამ ვაშაკიძე
„სრ“ საკ. კორ.

სურათებზე: ვერცხლის დისკო (ძვ. წ. III ს.) კასპის რაიონი ისტორიული ძეგლებითა დახუნძლული.



◎ მივლინება მკითხველის თხოვნით

ხეები ზეზეურად ხმებიან

ვინ უწამლებს ნასაგურელთა საფკივარს?

სამგორის ყოფილი მევენახეობის მეურნეობის ტერიტორიაზე ვიმყოფებით. სოფელს ამჟამად ნასაგური ჰქვია. 1952 წელს, როცა ამ ადგილზე ვენახი გბუშენებიათ, აქაურობა უდაბნოს მსგავსი ყოფილა, ერთი ხეც არ მდგარა თურმე. შემდეგ ახლომახლო სოფლებიდან – მარტყოფიდან, სამგორიდან, ნახშირგორიდან ჩამოუსახლებიათ ოჯახები, დაურგავთ ხეები და წალკოტისთვის დაუმსგავსებიათ აქაურობა.

დღეს ამ სოფელში 400-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. აქვთ საშუალო სკოლა, ბაგა-ბაღი, მაღაზიების ნაკლებობას არ განიცდიან, შრომობენ და იღვწიან აქაურები, ოღონდ თითქოს გარე სამყაროდან მოწყვეტილები: გარდაბნის რაიონულ გამგეობაში რაღაც საქმისთვის რომ ჩავიდნენ, (ტერიტორიულად გარდაბნის რაიონს მიეკუთვნება) აქაურებმა მარგო გზაში 6-8 ლარი უნდა დახარჯონ. ამას თავი გავანებოთ, სოფელს უწყლოდ პირი უშრება.

თითქმის ყველა ოჯახშია საქონელი, ზოგს 10-15-ზდე ძროხა ჰყავს, რამდენიმე ღორი, ფრინველი, უწყლოდ კი უჭირთ მათი მოვლა.

შეგეცოდებათ, ისეთ დღეშია მიწა, ნარგავები, ერთწლიანი კულტურები, ყველას და ყველაფერს წყალი სწყურია...

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ცენტრალური არხი, რითაც დასაბამიდან ირწყვებოდა აქაური მიწები, დღესაც მწყობრშია. არხით სიონის წყალსაცავიდან მოდის წყალი. მაგრამ, სანამ აქ ჩამოვა, რა თქმა უნდა, შემხვედრ მიწებს რწყავს. შარშან ხანდახან მაინც იყოო არხში წყალი, წლეულს კი საერთოდ ამოშრა.

აქ ჰექტარზე მეტი მიწა თითქმის არაა არა აქვს. ამიგომ კანონის თანახმად მიწის გადასახადისგან თავისუფალი არიან, მაგრამ არ იციან, სარწყავი წყლის ფული ვის უნდა გადაუხადონ. წყლის ფული კი გროვდება სოფელში, მაგრამ დარწმუნებულები არიან, ბიუჯეტამდე არ მიდის.

როგორც ცნობილია, მიწის კატეგორიის დადგენისას, გასათვალისწინებელია მიწის ბუნებრივი ნაყოფიერება, ბაგრათან ახლოს მდებარეობა და ის, თუ რა კაპიტალია ამ მიწაში ჩადებული, აქ იგულისხმება მელიორაციის გამოყენების კოეფიციენტი. აქაური მიწები სამუალო კატეგორიას მიეკუთვნება. ადრე მიწის გადასახადს 43 ლარს იხდიდნენ. რადგან გადასახადს ახლა აღარ იხდიან, ჰექტარზე თითო მორწყვა 4 ლარი ღირს. 3-ჯერ მაინც უნდა მოირწყას მიწა, ე. ი. სულ 12 ლარის საღირალია. მოსახლეობა თანახმაა, ეს თანხა გადაიხადოს, ოღონდ წყალი იყოს, მაგრამ ვის უნდა გადაუხადონ, ამაში ვერ გარკვეულან.

ამბობენ, უწყლობის გამო ბევრმა მიატოვა აქაურობა, მიწას აღარ ამუშავებენ, რის გამოც პრივატიზებული მიწების 30-40 პროცენტი გაყეურდა კიდეც. ხეები ზეზეურად ხმებიან, არადა, მათ დარგვაზე თავის დროზე საკმაო თანხაც დაიხარჯა.

შიდა სარწყავი სისტემის სიგრძე 65 კმ-ია, იგი ახლა, როგორც ამბობენ, გარდაბნის ქონების მართვის სამმართველოს გადაეცა, მაგრამ ყურადღებას მაინც არავინ აქცევს.

არხის ბაზაზე თავიდანვე აქ სამი მეურნეობა იყო ჩამოყალიბებული – სამგორის და ლილოს მევენახეობისა და ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის. ამ ტერიტორიაზე მარგო თამაზ კოვზირიძეა მოიჯარე, მას 1991 წელს 44 ჰექტარი მიწა აუღია იჯარით და დღემდე ამუშავებს.

აი, რას ამბობს იგი:

– სასმელი წყალი კვირაში 2-ჯერ გვაქვს. იმასაც ვყიდულობთ, ყოველი ოჯახი 3 ლარს იხდის, მაგრამ არც ეს თანხა შედის ბიუჯეტში. ადრე ამ ტერიტორიას სასმელი წყლით თბილისი ამარაგებდა, გადასახადს კი მუშებს ხელფასის დროს უქვითავდნენ. რაც მეურნეობა დაიშალა, ჩვენი პატრონი აღარავინ არის.

პირველად სარწყავი წყალი რეზერვუარში 1952 წლის 7 ნოემბერს ჩავიდა, მაშინ, როცა თბილისის ზღვა არც კი არსებობდა. არხი კეთილმოწყობილია, დაუზიანებელი, ექსპლოატაციისთვის მზადაა, მაგრამ რად გინდა, შუაგული ზაფხულია, წყალი კი ერთხელაც არ გაუშვიათ!

ჩვენ სარწყავი წყლის მე-16 გამანაწილებელთან ვდგევართ, რომელიც წინაუბნის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებას ემსახურება. არხში წყლის ნასახიც არ მოჩანს.

სოფელი ნასაგური დიდი ლილოს გამგეობას ეკუთვნის, მასში ჩვენი წარმომადგენელი გვყავს, რომელიც, ავად თუ კარგად, ყურადღებას აქცევს აქაურობას, მაგრამ წყლის საქმეს ის ვერ მოაგვარებს, – საუბარს აგრძელებს ბატონი თამაზი, – ლაპარაკია ხელშეკრულების გაფორმებაზე, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, ვისთან უნდა დავდოთ ხელშეკრულება. პირადად მე სხვებივით საქონელიც მყავს და ფრინველიც. წყალი რომ არ არის და მიწას რომ ვერ ვრწყავ, გადავწყვიტე პამიდორი, კიტრი და ბოსტნეული საერთოდ აღარ დავრგო, რაც გადავრგე, სულ მაგარალა. მარგო ხორბალს დავთესავ, ძალიან გვიჭირს, იქნებ ჩვენი გულისტკივილი გაიგიარონ და ვისაც ეს ეხება, დაგვეხმაროს.

ვფიქრობ, მთავრობა ვალდებულია, მოგვიგვაროს სარწყავი წყლის საკითხი, დაგვიდგინონ გადასახადი, რასაც ჩვენ პირნათლად გადავიხდით.

– დემოკრატიამ და თავისუფლებამ, მართალია, ბევრი რამ გაგაკეთა, მიწები უფასოდ დაგვირიგეს, არც რენტა, არც გადასახადები, მაგრამ უწყლოდ

რად გვინდა? უწყლოდ მოსავალი სად გაგონილა? – უკვირთ ნასაგურელებს.

– ეს სამგორის არხია და წყალმა ლაღად უნდა იაროს. ათასი რამეა მასზე დამოკიდებული, მიკროჰესები, თბილისის ზღვა, სასმელი წყალი. 60 ათასი ჰექტარი მარგო სარწყავი მიწაა ხალხო, – ამბობს პავლე ბელოიძე – აქ წყალი რომ იყო, იმიგომაც ჩამოასახლეს ხალხი ნახშირგორიდან. მაშინ საჩრდილობელიც კი არ იყო, ჯოხზე გადაკიდებული პერანგის „ჩრდილქვეშ“ ისვენებდნენ მუშები, ხეხილსა და ვაზს რომ რგავდნენ.

– რა გახდა ეს არხი, წელიწადში მარგო 3 თვე თუ გვჭირდება. ერწო-თიანეთში კარგად იცით, ალბათ, რაც მოხდა (ის იერის სათავეა), წყალი მოსკდა და წაიღო საქონელი და სახლებიც, ეტყობა, ამიგომაც ჩაკეტეს და აღარ უშვებენ წყალს, – ამბობს ნიკოლოზ გამჯაშვილი – სხვა დროს რაღა ემართება? რას გვერჩიან, რას გვემართლებიან?! ლამისაა ჭკუაზე გადავდგე 76 წლის კაცი.

– მე ამ მეურნეობის ყოფილი აგრონომი ვარ, 49 წელია აქ ვცხოვრობ. ისეთ წალკოტად ვაქციეთ აქაურობა, ტურისტები მოჰყავდათ დასათვალიერებლად, მართლაც საჩვენებელი მეურნეობა იყო. მაგრამ როდემდე მივსტიროთ წარსულს? – უკვირს მიხეილ შუბაშვილს, შრომის ვეტერანს, ორდენოსან ადამიანს.

– აქ ისეთი დასახლებაა, რომ ახლომახლო არც ბუნებრივი წყალია და არც ხევი, საქონელმა რომ პირი გაისველოს, – ეს მერამდენედ გვეუბნებიან გულმოკლული ნასაგურელები.

– არა გვგონია ჩვენმა პრეზიდენტმა იცოდეს, ხალხი ასე რომ იგანჯება! ძალიან ვთხოვთ, დაწერეთ ჩვენი გულისტკივილი, რომ წაიკითხონ და ყურადღება მოგვაქციონ, თორემ, ეშიმობთ, ერთხელ უკვე ჩამოსახლებულები უკან წასასელელები არ გავხდეთ. ჩვენს ასაკში აქციები და მიტინგები რა საკადრისია?!

ზოგი რამის დასაბუსტებლად, ჩვენ მეორე დილასვე დავუკავშირდით ზემო სამგორი-უდაბნოს სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსს დიმიტრი კავთუმეიღს, რომელმაც განაცხადა:

– სოფელ ნასაგურს 600 ჰექტარამდე სარწყავი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს, რომელსაც ემსახურება ზემო სამგორი-უდაბნოს სარწყავ-სისტემის სამმართველო. დღეისათვის სოფლის სარწყავი წყლით მომარაგება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. სოფლის პრობლემა სასმელი წყლით მომარაგებაა, რასაც ჩვენს სამსახურთან წესით არავითარი კავშირი არა აქვს. მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, სოფელს რამდენიმე წელია დაკალიანების გამო სასმელი წყალი აღარ მიეწოდება და მხოლოდ სარწყავი წყლის იმედზეა, რაც ჩვენ რთულ მდგომარეობაში გვაყენებს და აი რაგომ:

სარწყავი წყალიც ფასიანია და სოფელი ვერც მის საფასურს იხდის;

ვთქვათ, მოხდა სასწაული, სოფელმა მთლიანად გადაიხადა მათთვის საჭირო წლის ღირებულება, ჩვენ მაინც ვერ უზრუნველვყოფთ მთელი წლის განმავლობაში მათთვის სარწყავი წყლის მიწოდებას, რადგან ჩვენი სისტემა რწყავაზეა გათვლილი და ყოველ გაზაფხულზე და შემდგომაზე სარეშნოგო სამუშაოების ჩაგარებისთვის იკეტება. ცნობისათვის: ამ სისტემით ივსება თბილისის ზღვა, იკვებება სამი მცირე ჰესიც. ამდენად ის სტრატეგიული მნიშვნელობისაცაა.

21 ივნისს სოფლის გამგებლის მიმართვის საფუძველზე მოსახლეობას უკვე განუახლდა წყლის მიწოდება, მაგრამ ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი სექტემბერ-ოქტომბერში არხი კვლავ დაიკეტება გეგმიური სამუშაოების ჩასაგარებლად.

რაც შეეხება მოიჯარე თამაზ კოვზირიძეს, მას კარგა ხანია წყლის ღირებულება არ გადაუხდია, ამავე დროს საიჯარო მიწაც არასწორად აქვს გაფორმებული.

სოფელ ლილოს გამგებლის ვანო არსიაშვილის განცხადებით კი, მსოფლიო ბანკისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მონაწილეობით სოფელში დღე-დღეზე ჩამოყალიბდება ახალი სამელიორაციო ასოციაცია, რომელიც სარწყავ წყალთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხს მოაგვარებს.

ნაზი იმნაიშვილი,
ია კალანდარიშვილი,
„სრ“ სპეც. კორ.

სურათებზე: უწყლოდ დარჩენილი ნასაგურელები; დამშრალი არხი.
თეიდო ნიკოლაიშვილის ფოტო.

◎ ინფორმაცია

SIC

დავით მირცხულავამ კლინიკური სიკვდილი გადაიტანა

„სემეკის“ ყოფილი თავმჯდომარე, ენერგეტიკის ექს-მინისტრი დავით მირცხულავა თბილისის №7 საპყრობილეში გუშინწინ, ღამით გადაიყვანეს. ამ ფაქტის შესახებ დაკავებულის ადვოკატმა ეკა ბესელიამ სგრასბურგის სასამართლოს უჯვე აცნობა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ბესელიამ განუცხადა, მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავაც მძიმე რჩება. გავრცელებული ინფორმაციით მან გუშინ კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, ციხის ადმინისტრაციას კი ელემენტარულად ტკივილგამაყუჩებელი სამუალებებიც არ გაუჩნია. გუშინვე, ოჯახის წევრებმა მირცხულავას წამლები გადასცეს.

ამ დროისათვის მირცხულავას წინაალმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დასრულებულია. ადვოკატი საქმეს ეცნობა, რის შემდეგაც იგი საქმის შეწყვეტის მოთხოვნით, შუამდგომლობას სასამართლოში წარადგენს.

„სემეკის“ ყოფილი თავმჯდომარე დავით მირცხულავა 2003 წ. დეკემბერში დაკავეს. გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალის მიყენების ფაქტზე აღიძრა.

სამეგრელო ზემო სვანეთი

სპეკულაციერაცია საგარეჯოს სოფლებში

ბუშინ დილით საგარეჯოს რაიონის სოფლებში იორმუღანლოში და თულარში, შს კახეთის მთავარი სამმართველოს და საგარეჯოს რაიონის პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა. სოფელ თულარში დააკავეს მკვლელობისთვის და ყაჩაღობისთვის წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი იბრაგიმ ბაირამოვი. ბაირამოვის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდით, ვაზნები, ხელყუმბარა და ორი კოლოფი ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილი“.

სოფელ იორმუღანლოში თაპირ ალიევის მამის რამინ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 146. შაბათი. 26 ივნისი. 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანდაცვა

სინათლე ჩვენს თვალებში

ძარბა ხანია, რაც თბილისში, ძველ უნივერმაღლა და ქორწინების სახლს შორის უზნაძის ქუჩაზე ბინა დაიდო ოფთალმოლოგიურმა დღის კლინიკამ „ელექსირმა“. ჩვენს გაზეთშიც რამდენჯერმე დაიბეჭდა მადლიერი პაციენტების წერილები კლინიკის სამეცნიერო ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ოფთალმოლოგ მაკა გოგიაშვილისადმი, რომელიც პაციენტებს თავის მიერ შემუშავებული მეთოდით „მაგომელსით“ მკურნალობს.

ამას წინათ, ჩემი სტუდენტობის ამხანაგი და ჩვენი გაზეთის არაერთი საინტერესო პუბლიკაციის ავტორი ბაურ ფიფია გახარებული მოვიდა რედაქციაში, ჩემს მხსნელს მივაგენიო. აი, რა მითხრა მან: „მარცხენა თვალში მხედველობის ნერვის ატროფიის გამო ძალიან სუსტი მხედველობა მქონდა. მოულოდნელად მარჯვენა თვალში, რომელშიც მანამდე თვალშიდა წნევა მქონდა მომატებული, თითქოს ნისლი ჩამიდგა და ვეღარაფერი დავინახე, რასაც ტკივილებიც დაერთო, ძალიან შევშინდი. მეზობელმა მაკა გოგიაშვილთან მისვლა მირჩია. ქალბატონმა მაკამ თავისი მკურნალობის, მართლაცდა, სასწაულებრივი მეთოდით, პირველივე სეანსზე, ერთ საათში, მარცხენა თვალში მხედველობა 100 პროცენტით დამბრუნა. მარჯვენა თვალში კი, ორდღიანი მკურნალობის შემდეგ ტკივილი გამიქრა, თვალშიდა წნევაც მომიწესრიგდა და მხედველობაც მომემატა, თუმცა სხვა ექიმები მანამდე ამ თვალზე მხოლოდ ოპერაციულ ჩარევას მირჩევდნენ“.

ᲓᲐᲛᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ და კლინიკა „ელექსირში“ მივედი. მოსაცდელ ოთახში პაციენტებს შორის მრავალად იყვნენ ბავშვებიც. მაგიდაზე სარეკლამო ბროშურები და უამრავი სათამაშო ეწყო. ექიმს კაბინეტში პაციენტი ჰყავდა და ერთხანს შევიცადე. კედელზე გამოკრული კლინიკაში მკურნალობის პირობების ამსახველი მასალები, ინფორმაცია მაკა გოგიაშვილის მოღვაწეობის შესახებ, ამონარიდები სხვადასხვა წლების ჟურნალ-გაზეთებიდან. აი, ერთ-ერთი (1998 წლის გაზეთიდან): „აღიარება“ – „თბილისის სამედიცინო აკადემიის თვალის სნეულებათა კათედრის მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ოფთალმოლოგი, დღის კლინიკა „ელექსირის“ წამყვანი სპეციალისტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი მაკა გოგიაშვილი ახლახან ევროპის ოფთალმოლოგთა საბჭოს წევრად აირჩიეს“ (ვიცით, ასეთი რამ შემთხვევით არ მიიღწევა. ბ. დ.).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაკა გოგიაშვილი მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში თვალის სნეულებათა კათედრაზე. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერისა და კლინიცისტის სვიატოსლავ ფიოდოროვის ხელმძღვანელობით იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იქვე სწავლობდა დოქტორანტურაში. თბილისში დაბრუნებულმა პრაქტიკული მუშაობა განაგრძო, თუმცა „რიგ მეცნიერული მუშაობა მიუტოვებია. არის 30-მდე სამეცნიერო შრომისა და 14 გამოგონების ავტორი. მის მიერ შემუშავებულმა მკურნალობის მეთოდმა „მაგომელსმა“ გამოხმაურება ჰპოვა აშშ, ინგლისის, იტალიისა და სხვა ქვეყნების მეცნიერთა შორის (გამოგონებები დაცულია რუსეთისა და ევროპის საპატენტო უფლებებით), ამიტომაც მათივე მიწვევით პერიოდულად სტუმრობს ამ ქვეყნებს „მაგომელსის“ მეთოდის დასანერგად (შემდეგ, როდესაც ამ ფაქტის შესახებ მაკა გოგიაშვილს ეკითხე, თუ აქ რა გამოხმაურება მოჰყვა მის მეთოდს, მიპასუხა: „ჩემი კოლეგები დღესაც უნდობლობას იჩენენ „მაგომელსისადმი“. უცხოეთში უფრო დაინტერესდნენ და გამოთქვამენ მისი დანერგვის სურვილს, ვიდრე საქართველოში“...

„ელექსირი“. პაციენტებს უახლესი აპარატურის გამოყენებით, მედიკამენტებისა და ოპერაციის გაუკეთებლად სთავაზობს ისეთ დაავადებათა მკურნალობას, რომელთა განკურნება და გაუმჯობესება მაკა გოგიაშვილის თქმით, „მაგომელსის“ მეთოდით მკურნალობის გარდა სხვა მეთოდით, შეუძლებელია. ესენია: სიელმე, ამბლიოპია (გაზარმაცებული თვალი), მხედველობის ნერვის ატროფია, მიოპია (ახლომხედველობა), ნისტაგმი, გლაუკომა, შორსმხედველობა, თანდაყოლილი დაავადებები და სხვ.

– ქალბატონო მაკა, როგორ „აიძულებთ“ თვალს რომ მოემატოს მხედველობა და რაში მდგომარეობს „მაგომელსის“ ექსკლუზივი?

– ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში მრავალწლიანი კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ დაავადებების ხანგრძლივობისა და პაციენტის ასაკის მიუხედავად, თვალის ფსკერზე განლაგებული უჯრედები ცოცხალი, მაგრამ ფუნქციადაკარგული და, ანუ „მიძინებულია“. ჩვენი მეთოდის გამოყენებით ამ უჯრედებს „ვაღვიძებთ“ და მათ ფუნქციას აღვადგენთ. სწორედ ამიგომ არის, რომ პაციენტს ტესტირებიდან ერთი საათის შემდეგ მხედველობა უბრუნდება.

დროდადრო წკრიალებს მანშალაკი კარზე, პაციენტები მოდიან. ექიმის კაბინეტში გაღიმებული ქალი შემოვიდა – ნონა ბეგაშვილი, იგი გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშნიდან ჩამოსულა. 15 წელიწადზე მეტია დიაბეტი აქვს. მას თანდათან დაჰკლებია მხედველობა, დამოუკიდებლად სიარული აღარ შესძლებია. სხვა ექიმებთან მრავალჯერადი ლაზერული და მედიკამენტოზური მკურნალობის მიუხედავად, მდგომარეობა მაინც გაუარესებია. კლინიკა „ელექსირში“ მეორე ვიზიტის შემდეგ კი 50 პროცენტით მომატებია მხედველობა, კიდევ ორ დღეში – 60 პროცენტით, ახლა იგი დამოუკიდებლად დადის და ამბობს, რომ მეორედ დაიბადა.

იმ დღეს კლინიკაში ლამის დაუჯერებელი რამ მოხდა. 4 წლის ბორჯომელ სოფო კორძაიას სიელმე ჰქონდა. როგორც დედამისმა აღნიშნა, ბოგონა ბევრ თვალის ექიმთან ჰყოლია. თურმე ყველა მათგანი ოპერაციის გაკეთებას ურჩევდა, მაგრამ იმის გარანტიას ვერავინ აძლევდა, რომ თვალი მუდმივად გასწორდებოდა და განმეორებითი ოპერაცია აღარ დასჭირდებოდა. ამ კლინიკაში რომ მოუყვანიათ, ბოგონას გაბარმაცებული (ელამი) თვალი 40 გრადუსით ჰქონია გადახრილი და მხოლოდ ერთ ნაბიჯზე ხედავდა. მას აქ უწამლოდ და უოპერაციოდ უმკურნალეს. იმ დღეს, მკურნალობის მესამე კურსის შემდეგ, სოფიკოს 40 გრადუსი 1 გრადუსამდე დადიდა და ბოგონას მხედველობა თითქმის სრულად აღუდგა!

თავად ექიმი მაკა გოგიაშვილი კი ამას ღვთის წყალობად მიიჩნევს. იგი ამბობს: „ჩვენთან მომსვლელებს მაქსიმალურ შედეგს არ ვპირდები, მირჩევნია მას ერთ საათში მოემატოს და თანდათან გაუუმჯობესეს მხედველობა, ვიდრე დავპირდე და შემდეგ მხრეში ავიჩეჩო, ან თავი ვიმართლო. რაც მთავარია, ჩვენთან მიღებული შედეგები სტაბილურია ათეულობით წლების განმავლობაში, მიღებული შედეგის გასამყარებლად ან მხედველობის მაქსიმალურად გაუმჯობესების მიზნით, ვარჯიშებს ვუნიშნავთ. ვინაიდან ჩვენ არ შეგვყავს არანაირი წამალი, არ ვაკეთებთ ოპერაციებს, ამიგომ, ცხადია, გამორიცხულია ნებისმიერი გართულება, გვერდითი მოელენები ან რაიმე რისკის ფაქტორი. „მაგომელსის“ პრიორიტეტი სწორედ მის უმტკივნეულობასა და უსაფრთხოებაში მდგომარეობს“.

– რითი განსხვავდება ექსიმერ ლაზერი თქვენი მეთოდისგან?

– ახლომხედველობის შემთხვევაში გაკეთებული ნებისმიერი ოპერაცია კოსმეტიკურია, მართლაც არაჩვეულებრივია, როდესაც ადამიანი 30 წამში სათვალეს იხსნის, მაგრამ მას რჩება თვალის რეფრაქციული მანკი, რომელიც მას პრობლემებს უქმნის – ახლომხედველისთვის არ შეიძლება ფიზიოლოგიური მშობიარობა, სიმძიმის აწევა, რამაც შეიძლება მეტად სერიოზული გართულება, ბადურის ჩამოშლა გამოიწვიოს. ახლომხედველობის გამო ქირურგიულ ჩარევას კი არ უარვყოფ, უბრალოდ ნებისმიერმა ადამიანმა თვითონ უნდა აირჩიოს, რა მეთოდია მისთვის უფრო მისაღები.

– რას გვეტყვით ლინზების შესახებ, რომელსაც მარგო მხედველობის გასაუჯობესებლად კი არა, კოსმეტიკური თვალსაზრისით, თვალის ფერის შესაცვლელადაც იყენებენ?

– მოგახსენებთ, სათვალე ხომ თვალის ყავარჯენია, იგი არ კურნავს, ლინზები კი ორჯერ უფრო ცუდი ყავარჯენია. ლინზები თვალისთვის უცხო სხეულია, ისინი ეხება რქოვანა გარსს, ამიტომაც მათი ხმარება ხშირად თვალის შეწითლებას და შესიებას იწვევს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარეყოფ ექსიმერ ლაზერს ან ლინზებს.

– ქალბატონო მაკა, კომპიუტერიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ, თვალზე კომპიუტერის ზემოქმედებაზე რას იტყვით?

– ბევრი პაციენტი მოდის ჩვენთან, რომლებსაც კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ სიმძიმის შეგრძნება აქვთ თვალებსა და ქუთუთოებში, უწითლდებათ და უშუპდებათ თვალები და სხვ. თუ მსგავს შემთხვევებს უყურადღებოდ დაგოვებენ, ჩამოყალიბდება თვალის კომპიუტერული სინდრომი (უკვე 10 წელიწადზე მეტია, რაც აშშ ეს ტერმინი არსებობს), რაც არასწორი კურნალობის ან სათვალის დანიშვნის შედეგად ნამდვილ ახლომხედველობამი გადაიზრდება.

– თქვენ როგორ მკურნალობთ „კომპიუტერულ სინდრომს“?

– „ელექსირი“ აღჭურვილია უახლესი მაღალტექნოლოგიური აპარატურით, რომელიც საშუალებას იძლევა გაიმიჯნოს ცრუახლომხედველობა ნამდვილისგან და ტესტირებიდან ერთი საათის შემდეგ პაციენტს მოუხსნას ეს „სინდრომი“.

პაციენტების უმეტესობას მაკა გოგიაშვილის, როგორც კარგი სპეციალისტის „ამბავი“ ტელევიზიის, ზოგსაც განკურნულთა ნათესავ-მეზობლების მეშვეობით შეუტყვია. მაკა ექიმი ყველას ღიმილით იღებს და ღიმილითვე ისტუმრებს.

რაც მე იქ იმ დღეს მადლიერების გამომხატველი სიტყვები და ლოცვა-კურთხევა მოვისმინე...

ენდეთ „მაგომელსს“.

ᲑᲔᲚᲐ ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მაკა გოგიაშვილი.
ᲧᲐᲕᲐᲠ ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ეგეც, გამოგვადგეს?

როცა ქვეყანა ბუნებრივ ნაღმზე ზის

ტყვია საკუთარ შუბლში

ᲧᲔᲠ კიდევ 1977 წელს ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში შეიქმნა გარემოსადმი კონტროლის ცენტრი. მის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მაშინვე დასახა შეერთებული შტატებისათვის საარსებო მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებში ბუნებრივი პირობების ცვლილებების ამსახველი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება.

ეს ინფორმაციები გამოიყენება იმ საავარიულო ეკოლოგიური კრიზისების პროგნოზირებისთვის, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს შიმშილობის დაწყება, მასობრივი ეპიდემიების გავრცელება, სახნავი მიწების გამოფიტვა, ტყეების გაჩანაგება, მდინარეების დაშრობა, თევზის მარაგის კლება, მაენე აირებით ქალაქების დაბინძურება, იშვიათი ჯიშის ცხოველების გადაშენება, ნავთობსადენების კატასტროფა და სხვა. ამერიკამ ასეთი ცენტრის შექმნა გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა (მაგალითად, სომალი, კინეა, ინდონეზია, ავსტრალია, იორდანია) თითქმის ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ცხადია, აშშ-ს თავისი ინტერესები აქვს, მაგრამ მაინც მადლობა უნდა უთხრას ყველამ, ვისაც კი იგი დაეხმარება ეკოლოგიური სიგუაციის მოწესრიგებასა თუ გაჯანსაღებაში.

როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, საქართველოშიც დაიწყეს საუბარი ჩვენი ეკოლოგიური სამსახურების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე, უფრო მეტიც, ახალი სტრუქტურის შექმნამეც. კერძოდ, რახან ვვქონდა ეკოლოგიური პოლიცია, იფიქრეს ეკოლოგიური პროკურატურის ჩამოყალიბებაზეც. მაგრამ როგორც ბევრი სხვა რამ, ესეც ფიქრად და სურვილად დარჩა, არადა, რაოდენ გვჭირდებოდა...

სანდო წყაროებით დადგენილია, რომ მარგო 1997 წლის ივნისიდან 1998 წლის თებერვლამდე სამსტოჯაფახეთიდან სომხეთში ჯაედა 5.314 კუბური მეტრი მორი (ოფიციალური მონაცემებით კი 80 კუბური მეტრი დახერხილი ფიცარი). 214-მა „კამაზმა“ ჩვენი საბაჟო პუნქტი ისე გაიარა, რომ ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ასპინძის, აღაკეთის და ნინოწმინდის ეკოპოლიციის სამსახურებმა ერთი მათგანიც ვერ „შეამჩნიეს“, სამაგიეროდ, იქითა მხარეს ყველაფერი მისხალ-მისხალ აღრიცხეს, – მანქანებიც, მორებიც, მძღოლებიც... რა ვთქვათ? არ ვეჭირდებოდა ეკოლოგიური დაზვერვა ან ეკოლოგიური პროკურატურა? ან ახლა არ ვეჭირდება, როცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადის ამხელა ნავთობსადენი, ამხელა გაზსადენი, როცა ენგურსა და ჭოროხზე შენდება ამდენი ჰიდროელექტროსადგური? რა ელის ხვალ სვანეთს, სამეგრელოს, აჭარას, შავ ზღვას?

თავის დროზე მთელი საქართველო ფეხზე დადგა და არ დაუშვა ტრანსკავკასიური რკინიგზის მაგისტრალის გაყვანა. ჩვენ ჩაგვაფიქრა არაგვის ხეობაში მოსალოდნელმა უნებურმა კატასტროფამ და სასმელი წყლის დაბინძურებამ. ახლა რად დაივიკიდეთ ფეხებზე წყლის დაბინძურებაც, ტყის გადაპარსვაც, ზღვის ბუნებრივი შევსებაც?

წლეულს წყალმა ლამის წალეკა გურჯაანის, დუშეთის, ბუჯღიდის, თელავის, ლენტეხის რაიონები. არავინ უწყის, დურუჯისა და ალაზნის კაპრიზის გამო, ხვალ და მეგ რა ბედი ეწევა სიღნაღის, ლეფოფლისწყაროს, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს. რომ არ ვუემარჯვა, შეიძლება მთელი კახეთი ცაში აეგანა შირაქის სამხედრო აეროდრომზე რუსების მიერ დატოვებულ გიგანტურ საავიაციო ბომბებს. თუმცა, მარგო კახეთი? მთელი საქართველო ბუნებრივ ნაღმზე არ ზის? რამდენჯერ შეგვაგონრგმანა მიწისძვრამ?

ამჟამად ჩვენი პარლამენტი მსჯელობს ორგანულ კანონზე პროკურატურის შესახებ. ამ სტრუქტურაში მიდის რეფორმა შიდა დანაყოფებისა და თანამშრომლების ოპტიმიზაციის გზით. ლაპარაკია სასჯელაღსრულებითი, საგრანსპორტო და სამხედრო პროკურატურების გაუქმებაზე. ამასთან, ენერალურ პროკურორს კვლავ რჩება უფლებამოსილება კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალიზებული, კერძოდ, ეკოლოგიური პროკურატურის შექმნის თაობაზე. იქნებ გამოფიყენოთ ეს შანსი და კი არ გადავდოთ, ახლავე შევქმნათ ეკოლოგიური პროკურატურა, მით უმეტეს, ამჟამინდელი დანაყოფებისა და თანამშრომლების საკმაოდ სოლიდური შეკვეცის ხარჯზე საძებარი აღარ გაგვიხდება არც კადრები, არც შენობები და არც თანხები.

სხვაგვარად, ჩვენი ბუნებრივი გარემოს გაჩანაგება-გაპარპარახების საღღეისო ტემპების შენარჩუნებით, შეიძლება ტყვია საკუთარ შუბლში თავადვე დავიხალოთ!

სამართებელი პენსიონერის ხელჯოხში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, განსაკუთრებით თბილისში, ისე მოსწორდა ქუჩის ძარცვები, რომ მისისგან ხალხი თვალების ცეცებით დადის. უპირველესად ემტერებიან ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, რომელთაც თავხედურად გლეჯენ საყურეებს, ყელსაბამებს, სგაცვენ ხელჩანთებს, მობილურ ტელეფონებს... სულ ახლახან წყენთში ერთი მობილური ტელეფონის წართმევის გამო სიცოცხლეს გამოასალმეს ძმები – 17 და 18 წლის ბიჭები...

ᲔᲯᲧᲝᲑᲐ, ეს ხენი მარგო ჩვენ არა გვჭირს. აგერ, სერბეთში გამომგონებლებმა პენსიონერებს მშვიდი და უსაფრთხო ხეირნობისათვის სპეციალური სუპერხელჯოხები შეუქმნეს. მათი შეშვეობით მოხუცები იოლად და, რაც მთავარია, ეფექტიანად შეძლებენ მძარცველების მოგერიებას. კერძოდ, ხელჯოხი დიდი ხმაურით ისერის ყალბ ტყვიებს, ღილაკზე თითის დაჭერით წვერზე „ისხამს“ სამართებელს, პოლიციაში აგზავნის განგაშის სიგნალებს...

ასეთი იარაღი ჩვენში მარგო პენსიონერებს კი არა, სხვასაც ბევრს გამოადგებოდა!

კომენდანტის საათი რესტორანში

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲛ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ დაწესა კომენდანტის საათი ბავშვებისათვის, ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე 14 წლამდე ასაკის ლანი უპატრონოდ გარეთ ცხვირსაც ვერ გამოყოფს. და თუ გამოყოფს, მის მშობლებს მწარედ ააწუწუნებს, პირველად 100, მეორედ – 300, მესამედ კი – 500 დოლარს დააჯარებს ჯარიმად.

ᲔᲯᲧᲝᲑᲐ, რუსეთს ამერიკის ნაბიჯი ჭკეში დაუჯდა. 1 ივლისიდან იქ ამოქმედდება კანონი, რომელიც ეხება იურიდიულ პირთა თუ ინდივიდუალურ მეწარმეთა პასუხისმგებლობას საზოგადოებრივ ადგილებში უღროო დროს მოსარდთა ყოფნის გამო. კერძოდ, მოსკოვში, – კაზინოებში, რესტორნებში, ღამის კლუბებში თუ სხვა ამგვარ დაწესებულებებში „აპეკუნის“ გარეშე ვერ გაიჭაჭანებს 14 წლამდე ასაკის ვერც ბოგო და ვერც ბიჭი. და თუ გაიჭაჭანებს, ასეთ დაწესებულებათა მფლობელებს დაჯარიმებენ ჯერ 2.500, შემდეგ 15.000, ბოლოს კი 30.000 რუბლით. ეს თანხა უშუალოდ წავა რუსეთის დედაქალაქის ბიუჯეტში.

მოზარდი თაობა არანაკლებ ეტანება ღამის დაწესებულებებს საქართველოშიც. ღონისძიებები იქ იწყება ღამის 11-12 საათზე და გრძელდება დილით 5-6 საათამდე. წადი ახლა და, აკონტროლე, ვინ სად დაძვრება, ვინ რითი ერთობა.

რესტორნების, კაზინოების, ღამის კლუბების გარდა ჩვენ „თავშეყრის“ სხვა ადგილებიც გვაინტერესებს. მაგალითად, აი, რას წერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი თამთა წუწუნავა წლევანდელ გაზეთ „კრიმინალში“ (№7): „სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ 8-9 წლის ბავშვები მეძაველობას იწყებენ. ძირითადად, ეს უფროსების ჩათრევით ხდება. რა თქმა უნდა, ამის მთავარი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობაა. ბევრს გამოსაელად მოზარდის ქეჩაში გაშვება მიჰნია. ბავშვები არიან საუნებში, არაოფიციალურად გახსნილ ბორდელებში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე“...

ᲑᲔᲕᲠ, ასეთ ბავშვს განკურნებელი სენი აღმოაჩნდა, ბევრმა უკვე პორტიც გადაკეთა და მისი შემლოცველ ლოცვა საფეხვ გახადა. უამრავ სიბინძურეში გაეხვევნენ ჩვენი პატარა ბიჭებიც. აქედან გამომდინარე, თვითდამშვიდების და ამ საკითხისადმი გულგრილად, შორიდან ცქერის უფლება არც ჩვენ ვეაქვს. ეს უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა დეპუტატებმა და, უპირველესად, ის კანონები უნდა მიიღონ, რომლებიც მორალურად, მნიშვნელობრივად გადაეკარ-ჩენენ, მომავალი თაობის გარყვნა-გათახსირების გზებს ჩახერგავენ, თორემ სულ მალე კატასტროფა არ აგვცდება.

ᲑᲝᲜᲓᲝ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გულისნადები

მტრობით არავის არაფერი წაუღია ჩვენგან...

ჩვენს მამა-პაპათ უთქვამთ, ძმაო, ძმითა ხარ ძლიერიო. დიახ, ნამდვილად ძლიერნი ვიყავით, ერთად ვიდექით, ვშრომობდით, ერთად ვიყოფდით ჭირსა და ლხინს. აკი, ამიგომაც დავნაოესავდით: დავით ალმაშენებლის ბებია, ალდე, ხომ ოსი იყო, ბაგრატ IV-ის მეუღლე ბორენაც ოსეთის მთავრის ქალიშვილი გახლდათ, მზე თამარის დედა – ბურღუხანიც ოსეთიდან იყო მოყვანილი, დავით სოსლანიც ოსი იყო... თუმცა, რაღა შორს მივდივართ, შენც ჩემი მეზობელო, მეგობარო, განა ქართველი ქალი არა გყავს ცოლად?

ᲦᲛᲠᲗᲛᲐ იცის, რამდენ ქართველ ვაჟკაცს ჰყავს ოსი მეუღლე. ისტორიისათვის ცნობილია, თუ როგორი პაგივით მიიღეს 1746 წელს თეიმურაზ მეორემ და ანგონ კათალიკოსმა ოსეთის სასულიერო კომისიის წევრები, როგორ გახსნეს მოზდოკის მახლობლად 30 ოსი ბავშვისთვის სკოლა, როგორ ზრუნავდნენ მათზე.

საუკუნეებმა ერთად შეგვაღუღაბა და ამიგომაც ოსებიც დედას ნანას ეძახით. გვეწყინა ასე მწარედ, უღირსი ჩოჩიევისა და კოკოითისთანა ერთეულების მიერ ზურგში დაღერებული მახვილი. გვეწყინა იმისთვის, რომ არ დაგვიმსახურებია, ერთფიცვერცხლნაჭამი ვართ და ძმამ ძმაზე როგორ შეიძლება ხელი შემართოს, გვეწყინა იმისთვის, რომ კავკასიონს ერთად იცავდნენ ლესელიძე და ალიევი, ჩემი ძმა და თქვენი ძმა, რომ ხორავასა და თხაპსაევს ერთი ზეციური მადლი ჰქონდათ ბაცხებული... გვეწყინა იმისათვის, რომ ჩვენ ქართულთან ერთად „სიმდსა“ ვცეკვავთ, თქვენც „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ მღერით. გვეწყინა კიდევ იმისთვის, რომ კოკოითმა და მისმა ზოგიერმა მიმდევარმა ჩვენთან ერთად თქვენც გაგიმეტათ და მზაკვრულად შემართულ ლახვარს ოსი ხალხისა უწოდა...

არა და არა! ჩვენ ერთეული კაენებისთვის ოსი ხალხის სახლი არ გვიწოლებია, ღმერთმა დაგვიფაროს. ოსი ხალხი თქვენ ნა ხართ, ჩემო ძმებო, დებო, მეგობრებო, ნათელმირონებო, თქვენ, რომლებიც საქართველოს ზეცას შეხარით, საქართველოს მზესა ფიცულობთ, ვისთანაც საქორწინო სირჩა აგვიწევია, ვისთანაც „მრავალ-ქამიერი“ გვიმღერია.

ამიგომაც ვერავინ მიაყენებს ჩრდილს ჩვენს მეგობრობას, ვერავინ დაგვაცალცალკევებს, ვერავინ დათესს ჩვენს შორის მტრობის ნარ-ეკალს, ვერ გაგვიყოფს მიწას, ცას, მთასა და ბარს. მტრობით ვის რა წაუღია ჩვენგან, რომ „ადამონ ნიხასის“ ბოგიერომა წვერმა წაიღოს?..

დიდი ილია წერდა: „ხელი მიეც შენს მეგობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ ვინდათ, ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ“...

დიახ, დღეს ჩვენ ერთად ვშრომობთ, ერთ ლუკმას ვიყოფთ, ერთად ვიბრძვით იმ პრობლემების გადასაჭრელად, რაც გვაწუხებს და გვაღელვებს. გვჯერა, სულ მალე ჩვენს უბნებშიაც იქნება დღესასწაული.

მამ, მოდი, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ძმობა, კიდევ უფრო შევიყვაროთ ერთმანეთი, მხარი მხარს მივცეთ მტრის საავალოდ და საავგალახოდ. ერთი დუღაბით შევიკრათ და ველიკორუსული შოვინიზმით დაბრმავებულებს საკადრისი პასუხი გავცეთ.

გაუმარჯოს ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობას, ნათესაობას, ერთმანეთის მხარში დგომას, მარადიულ სიყვარულს.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲛᲣᲙᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

განძი მუზეუმის გალთან

აბრეშუმი არავის მოჰყავს, თორემ მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკა კი არსებობს...

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ, შეიქმნა XIX საუკუნეში. 1883 წლის 26 აპრილს კავკასიის სოფლის მეურნეობის საწარმოები გადაეცა რუსეთის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს. ამ კანონის ამოქმედების მიზნით ქონების მართვის მინისტრს მიხეილ ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის კავკასიის მონახულების შემდეგ თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსება ჩაუთვლია საჭიროდ.

ᲐᲛ იდეის განხორციელება თურმე დაევალა ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შავროვს, რომელიც 1887 წელს დაუნიშნავთ კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ხელმძღვანელად. სადგურის სქემა მასვე შეუდგენია, ხოლო არქიტექტორად მიუწვევიათ ა. პ. მიშკევიჩი, მშენებლობისთვის შეურჩევიათ მუშგაიდის ბაღის ტერიტორია, როგორც ყველაზე უფრო ხელსაყრელი ადგილი ამ დარგისათვის. კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსებისთანავე საფუძველი ჩაეყარა ბიბლიოთეკას, რომლის ფონდი ამჟამად 39 ათასი საბიბლიოთეკო ერთეულია.

ბიბლიოთეკა პირველად დაკომპლექტდა შემოწირულობით, შემდეგ კი შესაძლებელი გახდა შეძენილიყო მეაბრეშუმეობისათვის საჭირო ლიტერატურა.

სადგურს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან. ამის დამადასტურებელია ბიბლიოთეკაში არსებული საზღვარგარეთის 80-ზე მეტ ქალაქში 26 ენაზე გამოცემული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომელიც 4 საუკუნეს მოიცავს (მე-17-დან მეოცე საუკუნებამდე).

საზღვარგარეთი დღესაც ინტერესს იჩენს თბილისის მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკისადმი. აქ ნახავთ პარიზიდან, ლონდონიდან, ვაშინგტონიდან, კემბრიჯიდან, დეტროიტიდან, ჰონკონგიდან, სინგაპურიდან, მიუნხენიდან გამოგზავნილ წერილებს.

ბიბლიოთეკა შეტანილია ამიერკავკასიის მისამართების ცნობარში, რომელიც გამოცემულია 1927 წელს თბილისში. იმ პერიოდისათვის ბიბლიოთეკის ფონდი 10 000 ერთეულს შეადგენდა.

აქ დაცული ყველაზე ადრინდელი წიგნი ძველ ბერძნულ ენაზეა დაბეჭდილი და 1601 წლით თარიღდება. ამ 985-გვერდიანი წიგნის ავტორია პატრიარქი ფოტიუსი. უნიკალურ გამოცემათა რიცხვს ეკუთვნის დიდგანიანი ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი (1935 წელი, ნიუ-იორკი-ლონდონი), ფრიად საინტერესოა იაპონური წიგნის „ენდოს“ (თუთის ხის კულტურის) თარგმანი რუსულ ენაზე.

ფონდი მდიდარია არა მარგო მეაბრეშუმეობის, არამედ სხვა დარგის ლიტერატურითაც. კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მიერ გამოცემული შრომების 13 ტომი თავისი დამატებებით, ფასდაუდებელი მასალაა მეაბრეშუმეობაში, რომელსაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

1891 წელს, როდესაც კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მთავარი შენობის მშენებლობა დამთავრდა, ბიბლიოთეკას დაეთმო ორი დარბაზი. სამკითხველო და წიგნსაცავი, რომელიც საგანგებოდ ბიბლიოთეკისთვის აშენდა. ასე რომ, თითოეულ ინვენტარს თავისი ადგილი აქვს მიჩნეული სამკითხველო დარბაზში – ჭერამდე აზიდული მოჩუქურთმებული კარადები, სამუშაო მაგიდები ბიბლიოთეკის ინტერიერს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

აქ ძირითადი მკითხველები არიან მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, სააქციო საზოგადოება „საქართველოს აბრეშუმის“ თანამშრომლები და სხვ.

ორიოდე სიტყვა ქალბატონ დარეჯან კოტეტიშვილზე, რომელიც იმდენად დაინტერესდა ხსენებული ბიბლიოთეკით, რომ ცდილობს მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკა გააცნოს არა მარგო საქართველოში მოქმედ სპეციალისტებს, არამედ საზღვარგარეთაც წარმოაჩინოს ჩვენი ბიბლიოთეკა. მან მოიწვია გერმანიის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის პროფესორი ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში ენგელბერტ პლასმანი გერმანელ სტუდენტებთან ერთად. სტუმარი ვერ ფარავდა ამ ძველი ბიბლიოთეკით გამოწვეულ აღფრთოვანებას.

ქ-ნმა დარეჯანმა ბიბლიოთეკის ფონდი გაამდიდრა თავისი ძმის აუტორობით გამოცემული წიგნებით და სხვა ლიტერატურით. მიზნად აქვს დასახული ბიბლიოთეკის ფონდი შეიტანოს კომპიუტერში. ამას წინათ აქ გაიმართა კონფერენცია, რომელიც გახსნა მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრალური „აბრეშუმის სახლის“ გენერალურმა დირექტორმა ზაურ ასათიანმა. დამსწრეთ მიესალმა მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკის დირექტორი ლილი ჯანგველაძე და მუზეუმის დირექტორი ირინა ჭოგორლიშვილი. მოხსენება „მეაბრეშუმეობის ბიბლიოთ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 146. შაბათი. 26 ივნისი. 2004 წელი.

ცნობის ფურცელი

5 ეროვნული ბანკი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს მედიკამენტების შესყიდვაზე

რეკვიზიტები – რუსთაველის გამზირი № 30, 0146 თბილისი

N	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაო დენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკული ვადები
1	მოვლის სხვადასხვა საგნები	41042	მიწოდებლის კუთვნილი ბაზა	აგვისტოდან 31 დეკემბერის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
2	ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები	1000	"-----"	"-----"
3	პერიფერიულ ნ/ს-ზე მოქმედი ნივთიერებები	580	"-----"	"-----"
4	ანტიგისტამინური პრეპარატები	650	"-----"	"-----"
5	პედიკულოზის საწინააღმდეგო	400	"-----"	"-----"
6	ანტისეპტიკი და დეზინფექციური საშუალებები	1600	"-----"	"-----"
7	საჭმლის მომნელებელი სისტემის სამკურნალო პრეპარატები	200	"-----"	"-----"
8	ვაქცინები	20	"-----"	"-----"
9	ვიტამინები	1100	"-----"	"-----"
10	შარდმდენი საშუალებები	100	"-----"	"-----"
11	ნაღვლმდენი საშუალებები	300	"-----"	"-----"
12	ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი პრეპარატები	173	"-----"	"-----"
13	ანტიეპილეფსიური საშუალებები	300	"-----"	"-----"
14	შესახვევი მასალა	5500	"-----"	"-----"
15	საინგალაციო საშუალებები	100	"-----"	"-----"
16	გადასასხმელი და პემოსტატიური საშუალებები	1900	"-----"	"-----"
17	სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებები	550	"-----"	"-----"
18	საგულე საშუალებები	5770	"-----"	"-----"
19	სანარკოზე ნივთიერებები	10	"-----"	"-----"
20	ფსიქოტროპული საშუალებები	700	"-----"	"-----"
21	ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები	1200	"-----"	"-----"
22	ანტიბიოტიკები	24700	"-----"	"-----"
23	ანალგეტიკი და ანთების საწინააღმდეგო	19300	"-----"	"-----"
24	სხვადასხვა მედიკამენტები	2132	"-----"	"-----"

სხვა დამატებითი ინფორმაციების მიღება მოსაწოდებელი მედიკამენტების შესახებ ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ მათ მოთხოვნის მიხედვით დამტკიცებულ სატენდერო დოკუმენტაციაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2004 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმეული თარგმანის დართვით), 2004 წ. 12 ივლისიდან – 15 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი №30, ოთახი №62^ ტელ: – 75-83-35

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ლიცენზია - მედიკამენტების რეალიზაციაზე, გაცემული სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაციის დეპარტამენტის მიერ.

ფიზიკური პირებისათვის:

– ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

– ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

– ლიცენზია - მედიკამენტების რეალიზაციაზე, გაცემული სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაციის დეპარტამენტის მიერ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლ.) გადახდის შემდეგ, 2004 წლის 18 ივლისიდან 21 ივლისის 18^00 საათამდე.

დასაშვებია ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა. პრეტენდენტებმა ყველა პოზიციაზე უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება დახურული კონვერტით ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე.

ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ შემდეგ მისამართზე - თბილისი, რუსთაველის გამზირი №30, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ოთახი №62^.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – ხათუნა გოგსაძე, ტელ: 75-83-35, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 62^.

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

– საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

– დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

–საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-ე მუხლისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე

შესყიდვის ობიექტებია:

რიგითი №	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკული ვადები
1	პირველი ხარისხის პური ახალ მზღვარეობაში ლოტი №1	350000 კგ	ქ. თბილისის სასუელფრულების დაწესებულებები 1. საბურთალე №1 2. საბურთალე №5 3. №5 ქალაქი დაწესებულება 4. საკურნალო დაწესებულება 5. არასრულწლოვანთა დაწესებულება 6. ქრთის ტერიტორიული. დაყოფილებულია საკურნალო დაწესებულება 7. ქრთის №7 დაწესებულება	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად დილით მიწოდება 9^00სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღეს აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით.
2	პირველი ხარისხის პური ახალ მზღვარეობაში ლოტი №2	140000 კგ	ქ. რუსთაველის სასუელფრულების დაწესებულებები 1. რუსთაველის №1 დაწესებულება 2. რუსთაველის №2 დაწესებულება	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად დილით მიწოდება 9^00სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღეს აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით.
3	პირველი ხარისხის პური ახალ მზღვარეობაში ლოტი №3	100000 კგ	ქ. ქუთაისის, ხონის და ტყიბულის რაიონის სასუელფრულების დაწესებულებები 1. ქუთაისის №2 საბურთალე 2. ტყიბულის №8 დაწესებულება 3. ხონის №9 დაწესებულება	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად დილით მიწოდება 9^00სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღეს აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით.
4	ეროვნული თეფში ს.ეკლესია ლოტი №4	10 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით მიმწოდებლის კუთვნილი სამაცივრო ბაზიდან	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
5.	კარტოფილი ლოტი №5	195 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	აგვისტო-სექტემბერი-ოქტომბერი, ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
6.	კარტოფილი ლოტი №6	130 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	ნოემბერი-დეკემბერი, ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
7.	საქონლის ხორცი (გაყინული) ლოტი №7	4100 კგ	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
8.	საქონლის ხორცის კონსერვი ლოტი №8	4000 კგ	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
9.	ბარდა ლოტი №9	15 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
10	ფეტვი ლოტი №10	12 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
11	კომბოსტო ლოტი №11	80 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	აგვისტო-სექტემბერი ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
12	კომბოსტო ლოტი №12	120 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	ოქტომბერი-დეკემბერი ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
13.	მაკარონის ნაწარმი ლოტი №13	25 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
14	მცენარეული ზეთი ლოტი №14	15000 ლიტრი	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
15	ბრინჯი ლოტი №15	25 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
16	ხაჰვი ლოტი №16	15 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
17	ჭარხალი ლოტი №17	20 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
18	ხიზილალა ლოტი №18	12,5 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
19	ქაფი ლოტი №19	23 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
20	წიწიბრა ლოტი №20	15 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
21	ბურღულეული ლოტი №21	18 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
22	ტიბატინა ლოტი №22	2,5 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
23	მარილი ლოტი №23	7,5 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
24.	კარაქი ლოტი №24	500 კგ	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
25	რძის ფხვნილი ლოტი №25	150 კგ	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
26	ნაღი ლოტი №26	500 კგ	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
27	შაქარი ლოტი №27	3 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
28	დაფნა ლოტი №28	50 კგ	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
29	ხაკი ლოტი №29	100	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
30	ფქვილი ლოტი №30	7,5 ტონა	სასუელფრულების დაბარებულების (ცენტრალური ბაზა ან მოთხოვნის მიხედვით სასუელფრულების დაწესებულებები	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით

– ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2004 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმეული თარგმანის დართვით), 2004 წ. 12 ივლისიდან – 15 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი №30, ოთახი №62^ ტელ 758335

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

– ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

– ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

– ლიცენზია - მედიკამენტების რეალიზაციაზე, გაცემული სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაციის დეპარტამენტის მიერ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლ.) გადახდის შემდეგ, მისამართზე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი №62^ ქართულ ენაზე, 2004 წლის 19 ივლისიდან – 21 ივლისამდე 18 საათამდე.

ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მისამართზე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი №62^ ქართულ ენაზე, **2004 წლის 18 ივლისიდან – 21 ივლისის 18^00 საათამდე**

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია:

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა №507121303, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3133. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა. თითო ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე, ყოველი შესყიდვის ობიექტზე წინადადებებს წარმოადგენენ ცალ-ცალკე დახურული კონვერტით..

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს **– ხათუნა გოგსაძე, ტელეფონის ნომერი – 75-83-35, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 62^.**

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

– საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

– დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

–საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37-ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესყიდვაზე

რეკვიზიტები – რუსთაველის გამზირი № 30, 0146 თბილისი

შესყიდვის ობიექტებია:

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკული ვადები
1	ბენზინი ოქტანური რიცხვი არანაკლებ 95, ლოტი №1	12 500 ლიტრი	მომწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 2500 ლიტრი
2	ბენზინი ოქტანური რიცხვი არანაკლებ 91, ლოტი №2	150 000 ლიტრი	მომწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 30 000 ლიტრი
3	ლ-62 – დიზელი ლოტი №3	25 000 ლიტრი.	მომწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით მომწოდებლის საკუთარი ტრანსპორტით იუსტიციის სამინისტროში	1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 1400 ლიტრი ნოემბერი-დეკემბერი ყოველთვიურად 9000 ლიტრი

– ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2004 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმეული თარგმანის დართვით), 2004 წ. 12 ივლისიდან – 15 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი №30, ოთახი №62^. ტელ: 75-83-35

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

– ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

– ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლ.) გადახდის შემდეგ, მისამართზე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი №62^ ქართულ ენაზე, 2004 წლის 19 ივლისიდან – 21 ივლისამდე 18 საათამდე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა. თითო ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე, ყოველი შესყიდვის ობიექტზე წინადადებებს წარმოადგენენ ცალ-ცალკე დახურული კონვერტით..

დამატებითი ინფ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 146. შაბათი. 26 ივნისი. 2004 წელი.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

აცხადებს

2004-2005 სასწავლო წლისთვის აბიტურიენტთა მიღებას ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ სპეციალობებზე:

ქართული ენა და ლიტერატურა (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები);
ქართული ენა და ლიტერატურა უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სპეციალიზაციით;
ქართული ენა, ლიტერატურა და ქრისტიანული კულტურის ისტორია;
სომხური ენა და ლიტერატურა ქართული ენის სპეციალიზაციით;
აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა ქართული ენის სპეციალიზაციით;
ქართული ენა, ლიტერატურა და ებრაული ენა, ლიტერატურა;
ქართული ენა, ლიტერატურა და თურქული ენა, ლიტერატურა;
ქართული ენა, ლიტერატურა და სპარსული ენა, ლიტერატურა;
ქართული ენა და ლიტერატურა სომხური ენის სპეციალიზაციით;
ქართული ენა და ლიტერატურა აზერბაიჯანული ენის სპეციალიზაციით;
ქართული ენა, ლიტერატურა და ხელოვნებათმცოდნეობა;
ფრანგული ენა;
ინგლისური ენა;
გერმანული ენა;
რუსული ენა და ლიტერატურა უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სპეციალიზაციით;
რუსული ენა და ლიტერატურა არარუსული სკოლებისათვის;
რუსული ენა და ლიტერატურა ქართული ენის სპეციალიზაციით;
რუსული ენა და ლიტერატურა (დაუსწრებელი განყოფილება);
ისტორია სამართლისმცოდნეობის სპეციალიზაციით;
ისტორია და ქრისტიანული კულტურის ისტორია;
ისტორია და სამოქალაქო განათლება;
არქივმცოდნეობა და საქმის წარმოება უცხო ენების სპეციალიზაციით;
ისტორია (დაუსწრებელი განყოფილება);
დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები);
სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები);
კორექციული პედაგოგიკა (სპეცსკოლების პედაგოგი და ლოგოპედი);
კორექციული ფსიქოლოგია (სპეციალიზაციებით: სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-თერაპევტი);
მათემატიკა და ინფორმატიკა (ქართული და რუსული სექტორები);
ფიზიკა და ინფორმატიკა;
ეკონომიკა და განათლების მენეჯმენტი (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები);
ინფორმატიკა ინგლისური ენის სპეციალიზაციით;
ხაზვა, სახვითი ხელოვნება და კომპიუტერული გრაფიკა;
საწარმოო-შრომითი და საინფორმაციო ტექნოლოგიები;
ქიმია და ბიოლოგია;
ბიოლოგია და ქიმია (რუსული სექტორი);
გეოგრაფია და ბიოლოგია;
ბიოლოგია და ეკოლოგია;
გეოგრაფია და ტურიზმის მენეჯმენტი (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები);
ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხო ენების სპეციალიზაციით;
ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (დაუსწრებელი განყოფილება);
მუსიკა-გალობა (დღისა და დაუსწრებელი განყოფილებები);
სახვითი ხელოვნება (სპეციალიზაციები: დაბგური ხელოვნება, განსაცმლის მხატვრული მოდელირება, ქსოვილის მხატვრული დამუშავება).

შენიშვნა: სპეციალობა სექტორისა და განყოფილების აღნიშვნის გარეშე გულისხმობს ქართულ სექტორს და დღის განყოფილებას.

უნივერსიტეტში შემსვლელთა კონკურსი ეწყობა დამოუკიდებლად, სპეციალობებისა და სექტორების მიხედვით.

შემსვლელნი არჩეული სპეციალობების შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურის; ქართული ენა, ლიტერატურა და ხელოვნებათმცოდნეობის; ქართული ენა, ლიტერატურა და ქრისტიანული კულტურის ისტორიის სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
2. ქართული ენა და ლიტერატურა უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სპეციალიზაციით – სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ტესტი), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
3. ქართული ენა, ლიტერატურა და ებრაული ენა, ლიტერატურის; ქართული ენა, ლიტერატურა და თურქული ენა, ლიტერატურის; ქართული ენა, ლიტერატურა და სპარსული ენა, ლიტერატურის; ისტორია და ქრისტიანული კულტურის ისტორიის სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
4. ქართული ენა და ლიტერატურა სომხური ენის სპეციალიზაციით; ქართული ენა და ლიტერატურა აზერბაიჯანული ენის სპეციალიზაციით; რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე: მშობლიური ენა და ლიტერატურა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
5. რუსული ენა და ლიტერატურა არარუსული სკოლებისათვის – სპეციალობაზე: რუსული ენა და ლიტერატურა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
6. ინგლისური ენის; გერმანული ენის; ფრანგული ენის; ისტორია სამართლისმცოდნეობის სპეციალიზაციით; ისტორიის; არქივმცოდნეობა და საქმის წარმოება უცხო ენების სპეციალიზაციით – სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
7. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხო ენების სპეციალიზაციით; ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფიის; ისტორია – სამოქალაქო განათლების – სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ტესტი).
8. რუსული ენა და ლიტერატურა ქართული ენის სპეციალიზაციით; სომხური ენა და ლიტერატურა ქართული ენის სპეციალიზაციით; აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა ქართული ენის სპეციალიზაციით – სპეციალობებზე: მშობლიური ენა და ლიტერატურა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
9. რუსული ენა და ლიტერატურა უცხო ენების სპეციალიზაციით – სპეციალობაზე: რუსული ენა და ლიტერატურა (ტესტი), უცხო ენა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
10. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკის – სპეციალობაზე: მათემატიკა (ტესტი), საქართველოს ისტორია (ტესტი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (ტესტი).
11. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგიის – სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), ბიოლოგია (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
12. კორექციული პედაგოგიკის; კორექციული ფსიქოლოგიის – სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), ბიოლოგია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
13. მათემატიკა და ინფორმატიკის; ფიზიკა და ინფორმატიკის – სპეციალობებზე: მათემატიკა (ტესტი), ფიზიკა (ტესტი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (ტესტი).
14. ეკონომიკა და განათლების მენეჯმენტის – სპეციალობაზე: მათემატიკა (ტესტი), უცხო ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).
15. ინფორმატიკა ინგლისური ენის სპეციალიზაციით – სპეციალობაზე: მათემატიკა (ტესტი), ინგლისური ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).
16. ხაზვა, სახვითი ხელოვნება და კომპიუტერული გრაფიკის – სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), ხაზვა, ხატვა (ფერწერა ან კომპოზიცია).
17. საწარმოო-შრომითი და ინფორმაციული ტექნოლოგიების – სპეციალობაზე: მათემატიკა (ტესტი), ფიზიკა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).
18. ქიმია-ბიოლოგიის; ბიოლოგია-ეკოლოგიის სპეციალობებზე: ქიმია (ტესტი), ბიოლოგია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).
19. ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობაზე: ბიოლოგია (ტესტი), ქიმია (ტესტი), რუსული ენა და ლიტერატურა (ტესტი).
20. გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), გეოგრაფია (ტესტი), ბიოლოგია (ტესტი).
21. გეოგრაფია და ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობაზე: გეოგრაფია (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).
22. მუსიკა-გალობის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი), სპეციალობა (ძირითადი ინსტრუმენტი, ვოკალური მონაცემები და მუსიკის თეორია), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
23. სახვითი ხელოვნების სპეციალობაზე: ხატვა (ფერწერა ან კომპოზიცია), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

შენიშვნა:

1. საგამოცდო საგნებში, რომლებიც ტესტური ფორმით ტარდება, თითოეულ აბიტურიენტს მიეცემა ინდივიდუალური ტესტი 10-დან 20 შეკითხვით (ტესტებში კითხვების რაოდენობა, სპეციალობების მიხედვით, სხვადასხვაა; ნიმუშების გაცნობა მოხდება „ღია კარის“ დღეებზე). ტესტებისა და ზეპირი გამოცდების ბილეთების ყველა შეკითხვა მხოლოდ სამუალო სკოლის პროგრამადანაა.

ტესტის თითოეულ კითხვაზე მოცემულია 4 პასუხი, საიდაც აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი პასუხი.

თითოეული ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია. 6 ბალზე ნაკლები შეფასება ქულათა ჯამში არ შედის და აბიტურიენტი იხსნება გამოცდებიდან.

ტესტის შესავსებად, გარდა ფილოლოგიური და მათემატიკური სპეციალობებისა, აბიტურიენტს ეძლევა 1,5 საათი (ფილოლოგიურ და მათემატიკურ სპეციალობებზე კი – 2,5 საათი, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროფილის ტესტებში შეტანილია ორ-ორი ისეთი შეკითხვაც, რომლებზედაც პასუხი წერილობით უნდა გაეცეს).

2. რუსული ენისა და ლიტერატურის (არარუსული სკოლებისათვის) სპეციალობაზე შემსვლელ არარუსულ სკოლადამთავრებულ აბიტურიენტთათვის ტესტები შედგენილია არარუსული სკოლის პროგრამის მიხედვით.

3. აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არაქართული სკოლა და სურთ, სწავლა განაგრძონ ქართულ სექტორზე: ა) პუმანიტარულ სპეციალობებზე გამოცდებს აბარებენ ქართული სკოლის პროგრამით. ბ) არაპუმანიტარულ სპეციალობებზე შემსვლელნი კი აბარებენ წერით გამოცდას ქართულ ენაში (წაკითხულის შინაარსს).

4. არარუსულ სკოლადამთავრებული აბიტურიენტები, რომლებიც შედიან რუსულ სექტორებზე: ა) პუმანიტარულ სპეციალობებზე გამოცდებს აბარებენ რუსული სკოლის პროგრამით. ბ) არაპუმანიტარულზე კი წერით გამოცდას რუსულ ენაში (წაკითხულის შინაარსს).

5. მათემატიკა და ინფორმატიკა; ფიზიკა და ინფორმატიკის სპეციალობებზე ტესტირებული გამოცდა მათემატიკაში ჩაბარდება ძირითადი პროგრამით, ხოლო ინფორმატიკა ინგლისური ენის სპეციალიზაციით; საწარმოო-შრომითი და ინფორმაციული ტექნოლოგიების; დაწყებითი განათლების; ეკონომიკისა და განათლების მენეჯმენტის სპეციალობებზე – გამარტივებული პროგრამით.

6. ქართული ენა და ლიტერატურა სომხური ენის სპეციალიზაციით; ქართული ენა და ლიტერატურა აზერბაიჯანული ენის სპეციალიზაციით – სპეციალობებზე მიღება იწარმოებს მიზნობრივად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის შემდეგი რაიონების მცხოვრებთათვის: დმანისის, მარნეულის, ნინოწმინდის, წალკის, ახალქალაქის, ბოლნისის.

7. აბიტურიენტთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე დაგროვილი ქულათა ჯამის მიხედვით (თანაბარი ქულების შემთხვევაში ჩარიცხვა განხორციელდება მიმღები კომისიის მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე).

8. დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვისას, თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა მიეცემათ მაღალმთიან და საზღვრისპირა რაიონებში მუდმივად მცხოვრებ აბიტურიენტებს.

9. პედაგოგიურ უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

არასაბიუჯეტო (ფასიანი) სწავლება
ფასიან განყოფილებაზე მიღება ჩატარდება დღის განყოფილების
შემდეგ სპეციალობებზე:

ქართული ენა და ლიტერატურა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სპეციალიზაციით;
ინგლისური ენა;
გერმანული ენა;
ფრანგული ენა;
სამართლისმცოდნეობა;
ისტორია სამოქალაქო განათლების სპეციალიზაციით;
დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;
კორექციული ფსიქოლოგია (სკოლის ფსიქოლოგი; ფსიქოლოგ-თერაპევტი);
ინფორმატიკა ინგლისური ენის სპეციალიზაციით;
ეკონომიკა და განათლების მენეჯმენტი;
გეოგრაფია და ტურიზმის მენეჯმენტი;
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და დიზაინი (განსაცმლის მხატვრული მოდელირება; ქსოვილის მხატვრული დამუშავება; გობელენი; ფარდაგი; ბატიკა; თექა);
ქართული ენა, ლიტერატურა და ხელოვნებათმცოდნეობა.

ფასიან განყოფილებაზე ჩარიცხვა განხორციელდება სპეციალობის შესაგყვის დისციპლინაში ჩატარებული ტესტური გასაუბრების შედეგების საფუძველზე. კერძოდ:

1. ქართული ენა და ლიტერატურა უცხო ენის (ინგლისური; გერმანული; ფრანგული) სპეციალიზაციით; ქართული ენა, ლიტერატურა და ხელოვნებათმცოდნეობა; დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; კორექციული ფსიქოლოგიის; განათლების ეკონომიკა და მენეჯმენტის – სპეციალობებზე – ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
2. ისტორია სამოქალაქო განათლების სპეციალიზაციის – სპეციალობაზე – საქართველოს ისტორიაში;
3. სამართლისმცოდნეობის სპეციალობაზე – სამართლისმცოდნეობაში;
4. ინგლისური ენის სპეციალობაზე – ინგლისურ ენაში;
5. გერმანული ენის სპეციალობაზე – გერმანულ ენაში;
6. ფრანგული ენის სპეციალობაზე – ფრანგულ ენაში;
7. ინფორმატიკა ინგლისური ენის სპეციალიზაციით – სპეციალობაზე – მათემატიკაში;
8. გეოგრაფია და ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობაზე – გეოგრაფიაში;
9. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დიზაინის სპეციალობაზე – ფერწერაში;

შენიშვნა: ფასიან განყოფილებაზე ჯგუფის დაკომპლექტებლობის შემთხვევაში (ჯგუფში 20 კაცი) აბიტურიენტებმა საბუთები უნდა გადაიტანონ მათთვის სასურველ სხვა სპეციალობაზე. ბრძანება აბიტურიენტის ჩარიცხვის შესახებ გაფორმდება გასაუბრების გავლიდან 10 დღის ვადაში (სწავლების 1 წლის საფასურის შემოტანისას), კონტრაქტის გაფორმებით.

უნივერსიტეტში ფასიანი სექტორისათვის ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება. მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლა ფასიანია. განცხადებები მიღება 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე.

განცხადებები საბიუჯეტო და ფასიან განყოფილებებზე მიიღება 1 ივლისიდან 19 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე გარდა კვირისა, 10⁰⁰-დან 16⁰⁰ საათამდე.

გასაუბრება ფასიან განყოფილებაზე ჩაგარდება 20 ივლისს, 10⁰⁰ საათზე.

საბიუჯეტო (უფასო) განყოფილებაზე მისაღები გამოცდები ჩაგარდება 20 ივლისიდან.

„ღია კარის“ დღეები ჩაგარდება ა. წ. 30 ივნისს, 14⁰⁰ საათზე და 10 ივლისს – 12⁰⁰ საათზე პედაგოგიური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დამშვების შესახებ უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:

1. **საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);**
2. **ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4);**
3. **პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სამხედრო ბილეთი (ან სამხედრო მიწერის მოწმობა).**

შენიშვნა: პედაგოგიურ უნივერსიტეტში დღის, დაუსწრებელ და ფასიან განყოფილებებზე ჩარიცხულ წვევამდელ აბიტურიენტს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი (და ზევით), მიწერის მოწმობაში აღნიშნული უნდა ჰქონდეს, რომ ჯარში გაწვევის გადავადება კანონიერია (სახელმწიფოს მიერ დადგენილი თანხის გადახდა, ავადმყოფობა და სხვა) – დადასტურებული სამხედრო კომისრის ხელისმოწერითა და ბეჭდით.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურება ფასიანია.

ცნობათა ბიურო იმუშავებს 20 ივნისიდან, 10⁰⁰-დან 16⁰⁰ საათამდე, კვირა დღეების გარდა.

ტელეფონი: 22–34–26. ჩვენი მისამართია: 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 32.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

განჩინება

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე სოსო მუმლაძემ, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე სს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის ა. შჩეგოლევის ანგარიშის მოსმენის მიზნით, სს „აზოტის“ კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.

დავადგინე:

1. სს „აზოტის“ კრედიტორთა კრება ჩატარდეს 2004 წლის 12 ივლისს 11 საათზე შემდეგი დღის წესრიგით: სს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის ა. შჩეგოლევის ანგარიშის მოსმენა; სხდომა ჩატარდება სს „აზოტის“ სააქტო დარბაზში შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №2, პირველი სართული;
2. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, აგრეთვე, რუსთავის სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე;
3. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

ს. მუმლაძე,
მოსამართლე.

2004 წ. 5 მაისის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს **„ტიუფ ნორდ საქართველო-გეოგიუფი“** (რეგისტრირებული მთაწმინდის სასამართლოს მიერ 1999 წ. 22 იანვარს, რეგისტრ. №4/4-1503) და მიმდინარეობს მისი ლიკვიდაცია.

საბოგადოების კრედიტორებმა თავიანთი მოთხოვნები წარმოადგინონ საზოგადოების აუდიტორთან ლევან ჯვარშეიშვილთან. მისამართი: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ. 12, მე-3 სართული.

ტელ: 22-13-24.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის საგენდერო კომისიამ მიმდინარე წლის 22 ივნისს გამოქვეყნებულ განცხადებაში შეიტანა შემდეგი ცვლილებები:

ჯილეხის ვაქცინა ნაცვლად 2 300 000 დოზისა უნდა იყოს 1 650 000 დოზა, ხოლო ხორცისმჭამელთა ცოფის ვაქცინა ნაცვლად 150 000-ისა – 200 000 დოზა.

საგენდერო კომისია.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 18 მაისს № 171 ბრძანებულების შესაბამისად, ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო უბრუნველყოფის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგამომცემლო-პოლიგრაფიული ცენტრი **„კრწანისის“** ლიკვიდაცია.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, ერთი კვირის ვადაში, მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას, მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ჩიხი № 3, ტ: 93-11-33.

სალიკვიდაციო კომისია.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს საკუმულატორო ბატარიების განახლებაზე დუშეთის ქვესადგურში.

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს შესაბამისი საგენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. №6, ტელ: 38-71-99, 38-74-99, 38-75-99 – კანცელარიის განყოფილება, სამუშაო საათები 9-დან 18 საათამდე. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 7 ივლისის 17 საათამდე.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ფოთის საზღვაო ნავსადგური (ქ. ფოთი 4401, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის №23 ფილიალი, ა/ა №623607, ბ/კ №220101606) აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს და გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

● **შესყიდვის ობიექტი:**

საზღვაო ბუქსირის დამზადება საერთაშორისო მეთვალყურეობითა და ზედამხედველობით.

– ცურვის რაიონი A-1;
– თანამედროვე სანავიგაციო საშუალებით აღჭურვილი;
– სიმძლავრე: 2000 ცხენის ძალა;
– 27-30 გემთსაბმელის წევით.

2. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა:

● საქონლის მოწოდება სასურველია პირობით: CIF – ფოთი, საქართველო.

● საქონლის მოწოდების სასურველი ვადაა: 2005 წლის პირველი კვარტალი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52, ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8 (293) 7-01-48. **2004 წლის 8 ივლისიდან – 2004 წლის 16 ივლისის 16 საათამდე.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირებისთვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება, მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2. ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის:

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით), რეგისტრაციის ადგილი, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ აქვს თუ არა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო ფონდებისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები).

5. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ მემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საგენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №52, ფოთის საზღვაო ნავსადგურის საგენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელ-ფაქსი 8 (293) 7-01-48. **2004 წლის 22 ივლისიდან – 2004 წლის 27 ივლისის 16 საათამდე.**

– საგენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებმა ფოთის ნავსადგურის საგენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინოს **2004 წლის 28 ივნისიდან – 2004 წლის 19 აგვისტოს 16 საათამდე.**

8. საგენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ ენაზე: ქართველი პრეტენდენტებისათვის – ქართულად, ხოლო უცხოელი პრეტენდენტებისათვის მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

9. ტენდერში გამოიყენება საგენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – საგენდერო წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით, ხოლო ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი – „ხელშეკრულების ფასის“ 2 პროცენტის ოდენობით, ხელშეკრულების დამთავრებამდე.

10. საგენდერო წინადადების გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საგენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საგენდერო წინადადებების ღირებულების მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: **მანანა დანელია და ლალი კვეტლაძა. შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ფოთის ნავსადგურის საგენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;**

ისრაელმა ნაბლუსში კვლავ შეიყვანა ჯარები

სამხედროები ქალაქში მევიდნენ დამთ. მათ ალყაში მოაქციეს ნაბლუსის ისტორიული ცენტრი და განახორციელეს ჩხრეკა-დაპატიმრებები პალესტინელთა სახლებში. ქალაქის მერის მაჰმუდ ალულის თქმით, ებრაელი ჯარისკაცები ისროდნენ ჰაერში, ამგვრევდნენ სახლების კარებებს, დასაკითხად მიჰყავდათ ნაბლუსის მცხოვრებლები.

სამხედროებმა დაანგრიეს ერთი სახლი. ისრაელის მხარის მტკიცებით, ამ შენობაში ნაპოვნია ასაფეთქებელი ნივთიერება.

როგორც შემთხვევის ადგილიდან იტყობინებიან, ებრაელი ჯარისკაცები პალესტინელთა ჯგუფების გასაფანტავად იყენებდნენ ცეცხლსასროლ იარაღსა და ცრემლსადენ გაზს. ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმების თქმით, ორი კაცი დაჭრილია.

პალესტინელები აღნიშნავენ, რომ მათ ცეცხლი გაუხსნეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ჯარისკაცებს ქვებს ესროდნენ, ებრაელი სამხედროები, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს შეიარაღებული ადამიანების ჯგუფს, რომელთაგან ერთ-ერთმა სამხედროებს ესროლა თვითნაკეთი ბომბი, დანარჩენებმა კი – სროლა ატეხეს.

ისრაელის არმიის წარმომადგენელმა დასძინა, რომ ოპერაცია ნაბლუსში, საუბარაულდ, რამდენიმე დღეს გასტანს.

ამავე დროს, ღაზის სექტორში ებრაელმა ჯარისკაცებმა მოკლეს ორი პალესტინელი, რომლებიც ცდილობდნენ მიახლოვებოდნენ ებრაელთა ღუგოთის დასახლების მახლობლად მდებარე საკონტროლო-გამშვებ პუნქტს. სამხედროთა თქმით, პალესტინელებს ეცვათ ყვითიგაუმგარი ჟილეტები და შეიარაღებულები იყვნენ მაშხანებითა და ხელყუმბარებით.

შეტაკებები ღაზის სექტორსა და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მოხდა მაშინ, როცა ეგვიპტის დაზვერვის შეუმა ომარ სულეიმანმა დაიწყო მოლაპარაკების მორიგი რაუნდის გამართვა ებრაელებთან და პალესტინელებთან. მისი მიზანია დაარწმუნოს მხარეები იმაში, რომ კაიროს შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ღაზის სექტორიდან ისრაელის წასვლასთან დაკავშირებულ მოვლენებში.

ომარ სულეიმანმა რამალაში გამართა მოლაპარაკება პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარესთან იასირ არაფატთან, იერუსალიმში კი შეხვდა ისრაელის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს.

დაჰკითხეს ჯორჯ ბუში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მისცა ჩვენება პროკურატურის წარმომადგენლებს, რომლებიც იძიებენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის ვალერია პლეიმის მესახებ ინფორმაციის პრესაში გაჟონვასთან დაკავშირებით გარემოებებს.

თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში ჯორჯ ბუშს 70 წუთის განმავლობაში ესაუბრებოდა მთავრობის ძველ დანიშნული საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი, სახელმწიფო პროკურორი ჩიკაგოდან პატრიკ ფიტჯერალდი.

გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ რა გზით შეიტყვეს ჟურნალისტებმა პლეიმის ვინაობა, და ხომ არ უკანონოდ გამჟღავნდა ინფორმაციის ასეთი ვაჟონვა იმას, რომ ვალერია პლეიმის ქმარი, დიპლომატი ჯოზეფ უილსონი, რომელიც თავის დროზე მუშაობდა შეერთებული შტატების ელჩად ბაღდადში, ქაცრად აკრიტიკებდა ერაყში ომის დაწყებას. თვით უილსონი ამტკიცებს, რომ სწორედ ეს გახდა მისი ცოლის ვინაობის გამხელის მიზეზი, რომელიც გასაიდუმლოებული აგენტი იყო.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა თავის წარმომადგენლად დანიშნა კერრი ვაშინგტონელი ადვოკატი ჯიმ ჰარპი, რომელიც ინტერვიუს დროს აცხადებდა ჩვენებას ჯორჯ ბუშის სასელით. „საიდუმლო ინფორმაციის ვაჟონვა ძალზე სერიოზული საკითხია“, – აღნიშნა ბუშის წარმომადგენელმა და დასძინა: „პრეზიდენტი მხარს უჭერს იმას, რომ მისმა ადმინისტრაციამ ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ბუშმა სიამოვნებით შეასრულა თავისი როლი“.

მომდინარე წლის იანვრიდან პროკურორებმა უკვე დაჰკითხეს შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ათობით თანამშრომელი: ამ დროის განმავლობაში გამოძიება თეთრ სახლამდე და სხვა სამთავრობო სტრუქტურებამდეც მივიდა, რომელთა შორის არიან თავდაცვის სამინისტრო და სახელმწიფო დეპარტამენტი.

ამერიკის კანონმდებლობით, საიდუმლო აგენტის ვინაობის გამჟღავნება ისჯება 10 წლამდე ვადის პატიმრობით.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ერაყში აქტიური საომარი მოქმედების დაწყების წინ, ვალერია პლეიმის მეუღლე ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველოშ გაგზავნა ნიგერიაში, სადაც მას უნდა გამოეძიებინა გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ ერაყი ცდილობდა აურიკის ამ სახელმწიფოში ბირთვული მასალების შესყიდვას. თავის მოხსენებაში ჯოზეფ უილსონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ვერ მიაღწინ ასეთი გარიგების კვალს. და მაინც, ჯორჯ ბუშმა თავის საჯარო სიტყვაში ეს ფაქტი დაიმოწმა როგორც ერთ-ერთი საბაბი ერაყში ომის დაწყებისათვის. მაშინ ამან უილსონის აღშფოთება გამოიწვია, რომელმაც ამის თაობაზე სტატიაც კი გამოაქვეყნა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“.

სტატიის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ, ჟურნალისტმა რობერტ ნოვასმა გაახმაურა ინფორმაცია უილსონის ცოლის მუშაობის შესახებ. როგორც რეპორტიორმა აღნიშნა, მისი მასალა ეფუძნებოდა ამერიკის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ორ ანონიმურ წყაროს გამონათქვამებს.



კუბაში დისიდენტები გაათავისუფლეს

კუბის ხელისუფლებამ გაათავისუფლა ჯერ ორი დისიდენტი იმ ადამიანთა რიცხვიდან, რომლებიც გასული წლის მარილში დააპატიმრეს. მაშინ თავისუფლების აღკვეთა 70-ზე მეტ კაცს მიუსაჯეს.

ერთ-ერთმა განთავისუფლებულმა დისიდენტმა, პოეტმა და ჟურნალისტმა მანუელ ვასკეს პორტალმა თავის განთავისუფლებას სრული სიერიზი უწოდა. ჟურნალისტს 18 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა მას სასუნთქი სისტემა ჰქონდა დაზიანებული. მეორე განთავისუფლებულს კი – მეცნიერ რობერტო დე მირანდას ავადმყოფი გული აქვს.

ამრიგად, მსჯავრდადებული დისიდენტებიდან ექვსი გაათავისუფლეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. თუმცა, ჰავანელი დიპლომატები ვარაუდობენ, რომ ამ ადამიანების განთავისუფლების მოტივი მხოლოდ ჰუმანური ხასიათის არ უნდა იყოს. მათ აზრით, კუბა ცდილობს თავიდან აიცილოს საერთაშორისო სკანდალი, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს რომელიმე დისიდენტის გარდაცვალებას საპყრობილეში.

კუბაში დისიდენტები გაათავისუფლეს

კუბის ხელისუფლებამ გაათავისუფლა ჯერ ორი დისიდენტი იმ ადამიანთა რიცხვიდან, რომლებიც გასული წლის მარტში დააპატიმრეს. მაშინ თავისუფლების აღკვეთა 70-ზე მეტ კაცს მიუსაჯეს.

ერთ-ერთმა განთავისუფლებულმა დისიდენტმა, პოეტმა და ჟურნალისტმა მანუელ ვასკეს პორტალმა თავის განთავისუფლებას სრული სიერიზი უწოდა. ჟურნალისტს 18 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა მას სასუნთქი სისტემა ჰქონდა დაზიანებული. მეორე განთავისუფ-

მოსალოდნელი

ჩინეთში ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება კოკისპირული წვიმები, რის შედეგადაც დაიგბორა ქვეყნის ცენტრალური ნაწილი. სტიქიამ იმსხვერპლა 23 კაცი, 20 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. დანგრეულია 54 ათასი სახლი. სულ კი, სტიქიის შედეგად 6,8 მილიონი ადამიანი დაზარალდა.

* * *

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, თუმრე ათაშანგმა იმსხვერპლა. ამას ამტკიცებს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომელიც იმოწმებს ისრაელის მეცნიერთა ჯგუფის დასკვნას. მკვლევარებმა ეს დაადგინეს მას შემდეგ, რაც დაწვრილებით შეისწავლეს ლენინის ავადმყოფობის ისტორია, აგრეთვე, საბჭოთა და ევროპელი ექიმების ჩანაწერები. მათ დაადგინეს, რომ ამ საშიში ვენერიული სნეულებით ლენინი დაავადდა ევროპაში ჯერ კიდევ 1917 წლამდე.

* * *

ინდოეთის ასამის შტატში სამგზავრო ავტობუსში ამოქმედდა საათის მექანიზმით აღჭურვილი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. აფეთქების შედეგად დაიღუპა ხუთი და დაიჭრა 15 კაცი. ავტობუსში ბომბი დადეს მემარცხენე ყაიდის აკრძალული დაჯგუფების „ასომის განთავისუფლების გაერთიანებული ფრონტის“ მოთარეშეებმა.

* * *

„მაქვს მე მეტისმეტად მაქებთ. ასე არ შეიძლება“, – განუცხადა თურქმენბაშიმ დეპუტატებს. ნიაზოვი აპირებს საქმით დაამტკიცოს თავისი სიტყვები. მან უკვე უარი განაცხადა დასწრებოდა თავისი მორიგი ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიას, რომელიც აღიმართა თურქმენეთის მეჯლისის შენობის მახლობლად. აშხაბადში ეს ნიაზოვის უკვე მეათე მონუმენტია. გარდა ამისა, ნიაზოვმა გასცა განკარგულება ჩამოეხსნათ ქალაქში მისი პორტრეტები, რომლებიც ამშვენებდნენ აშხაბადის მრავალ ადმინისტრაციულ შენობას. მაგრამ, რა თქმა უნდა, „თურქმენთა მამა“ მთლიანად ვერ აუკრძალავს ხალხს შეასხას მას ხოტბა-დიდება. „რას გააწყობ, თუ ხალხს ასე ვუყვარვარ!“, – დასძინა ნიაზოვმა.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსის პოსტზე დანიშნა 65 წლის კონგრესმენი

პორტერ გოსი, რომელიც წარსულში დაახლოებით 10 წლის განმავლობაში იყო ამ სამმართველოს არალეგალური აგენტი. მანამდე კი, ამერიკაში მიაჩნდათ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეთაურის თანამდებობას დაიკავებდა ჯონ მაკლაფინი, რომელიც რუსეთის საკითხების სპეციალისტია.

* * *

ჩრდილოეთ კორეა აცხადებს, რომ აღარ აწარმოებს, არ გაიგანს საექსპორტოდ და არ გამოცდის ბირთვულ იარაღს. თუმცა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ჯერჯერობით თანხმდება მხოლოდ იმას, რომ ექვსმხრივი მოლაპარაკების წევრმა სახელმწიფოებმა განახორციელონ ინსპექცია ეზენიანის ბირთვულ ობიექტებში.

* * *

შეერთებული შტატები აპირებს ამერიკის ჯარები ერაყში დატოვოს ამერიკელთა იურისდიქციაში მას შემდეგ, რაც მომავალ კვირას ქვეყანაში ხელისუფლება გადაეცემათ ერაყელებს.

პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ საკითხის თაობაზე გრძელდება მოლაპარაკება ერაყის ხელისუფლებასთან. მან გამოთქვა რწმენა, რომ მოხერხდება შეთანხმების მიღწევა.

ამერიკის მაღალი თანამდებობის სამხედრო წარმომადგენელთა მონაცემებით, გეგმა ითვალისწინებს, რომ უცხოური კოალიციის ძალებს ექნებათ იმუნიტეტი ერაყის სასამართლოთა მხრიდან დევნისაგან.

ამჟამად ერაყში იმყოფება დაახლოებით 140 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. სხვა ქვეყნებიდან ჩასულ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი თითქმის 25 ათასს შეადგენს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

ზაზა ბეჭანიძემ.

◎ ევრო – 2004

სკოლარის სკოლა

გემასკორებათ, თანამემამულეთა როგორი რისხვა დაიგება თავს ლუის ფელიპე სკოლარიმ, 2002 წლის „მუნდიალზე“ რომარიო რომ არ წაიყვანა. მისი პრინციპულობა ბრაზილიელებმა ოქროს მედლებით აღნიშნეს.

ჯერჯერობით ანალოგიურად ეითარდება მოვლენები ევროპის XII ჩემპიონატგზეც – პორტუგალიელთა ძველ ავარდიასთან კონფლიქტის მიუხედავად, სამხრეთამერიკელმა მწვრთნელმა ტურნირის მასპინძლები უკვე ნახეთარფინალში გაიყვანა.

მეოთხედფინალი

პორტუგალია – ინგლისი 2:2 (პენალტებით – 6:5).

გოლები: პოსტიგა, რუი კოშტა; ოუენი, ლამპარდი.

| **ტაიმი** – როგორც იქნა, ოუენმაც გაიბრწყინა – ლივერპულელის დამსახურებაა, რომ მე-3 წუთზე კოშტინიას შეცდომის შედეგად გატანილმა გოლმა პირნეველები ხანგრძლივ ნოკდაუნში გაგზავნა. მალე მაიკლს „ლუბლის“ შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარს გადააცილა. კაცმა არ იცის, როგორ

◎ თაობა

ძეგვიდან – ევროპაში „ფანჯრის“ გასაჭრელად

ქართული ფეხბურთის ისტორიაში წლეულს უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა – ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლენად „ოქროს მაგჩი“ გაიმართა. სამწუხაროდ, იგი დიდი შეხლა-შემოხლითა და აურმაურით დამთავრდა. გვესაუბრება ამ ორთაბრძოლის უშუალო მონაწილე, საქართველოს ჩემპიონის – „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდა მცველი ბიორგი კპახაძე:

– ოქროს მედლებისთვის გადამწყვეტი პაექრობა, მართლაც, სკანდალური გამოდგა, – მითხრა გიორგიმ. – ჩემმა თანაგუნდელმა გოცირიძემ გოლი რომ გაიგანა, გახარებული ახლოლებისკენ გაქცევა ხელების ქნევით. ბოლნისელებმა ეს ქესტი შეურაცხყოფად მიიღეს და შოედანზე გადმოცოცდნენ. სამართალდამცავებმა დაძაბული სიტუაცია დროებით განიმუტეს. ბოჩარაშვილის მეორე გოლს ბოლისელთა ახალი განრისხება მოჰყვა. ისინი კვლავ გადმოიჭრნენ მოედანზე და მსაჯს ფიზიკურადაც შეეხნენ. „ხიონის“ ფეხბურთელებს რომ არ ემარჯვათ და თავიანთი ქომაგები არ დაეშოშმინებინათ, შესაძლოა, ტრაგედიაც დგრიალებულიყო. თამაში მთელი 15 წუთით შეწყდა. ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა გვიჩვენეს ფირი, რომელმაც დაადასტურა, რომ ყველაფერი წესების სრული დაცვით მოხდა. მართალია, სტადიონზე მომხდარმა ინციდენტმა გამარჯვების ზეიმი გაგვიფუჭერა, მაგრამ ჩემპიონობის მოპოვებით მაინც ბედნიერი ვართ. ჩვენ დავიმახსოვრეთ ოქროს მედლები.

გიორგი კვახაძე მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში დაიბადა და გაიზარდა. ფეხბურთის თამაშიც სოფელში დაიწყო. მამამისი – ზაურ კვახაძე საქართველოს ჩემპიონი იყო ველოსპორტში. ფეხბურთისადმი შვილის სიყვარული რომ შეამჩნია, 10 წლის გიორგი მცხეთაში ვეფხია გულბათაშვილთან მიიყვანა სავარჯიშოდ. მას შემდეგ 13 წელიწადი გავიდა. გიორგიც ნელ-ნელა დადგინდა. საქართველოს კადეგთა და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებშიც მოასწრო თამაში. სამი წელიწადია, ვეტერინართა გუნდის ღირსებას იცავს.

ამჟამად გიორგი და მისი მეგობრები მცხეთაში ემზადებიან მომავალი ორთაბრძოლებისთვის. მალე ისინი გერმანიას გაემგზავრებიან ამხანაგური მაგჩების გასამართავად.

– 14 ივლისს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო შეხვედრას გავმართავთ, – ამბობს „ვიტ ჯორჯიას“ მცველი. – იმედია, პირველი ზღუდის გადალახვა არ გაგვიჭირდება. მონდომებით ვემზადებით. გერმანიაში საწვრთნელი შეკრება და იქაურ გუნდებთან ამხანაგური შეხვედრები საერთაშორისო თამაშების გამოცდილებას შეგვძენს.

– განვლილი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ვის დასახელებდი?

– ჩემს თანაგუნდელ რევი გოცირიძეს. იგი ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა.

– მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშედ ვინ მიგაჩნია?

– ზინედინ ზიდანი, თუმცა, ჩემი კერპია იტალიელი პაოლო მალდინი. ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერია ჩვენი კახა კალაძე, ასეთი ფეხბურთელისა და პიროვნების გვერდით რომ თამაშობს.

– შენც უცხოეთისკენ ხომ არ გიჭირავს თვალი?

– ამ სეზონს „ვიტ ჯორჯიაში“ დავიწყებ. შანსი გვეძლევა, ევროპას გავაცნოთ თავი. იქ ნორმალურ კლუბს თუ მოვეწონები და ხელსაყრელ კონტრაქტს შემომთავაზებენ, აუცილებლად გადავალ. ევროპაში თამაშის კლასის ასამაღლებლად მეგი საშუალებაა.

– პორტუგალიაში მიმდინარე კონტინენტის ჩემპიონატგზე რას იგყვი?

– იტალიის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ „სკუადრა აძურამ“ იმედები გამიცრუა – ჯგუფიდან ვერ გავიდა. ევროპაში ფეხბურთის დონე ძალიან ამაღლდა, ამიტომ ვერ იტყვი, აშკარა უპირატესი ვინ არის. ჩემპიონობის დიდი შანსი აქვთ მასპინძლებს – პორტუგალიელებს და ფრანგებს. ენახოთ, სიურპრიზებისგან ეს ტურნირიც არ არის დაზღვეული.

– სექტემბერში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებები დაიწყება. საქართველოს ნაკრები საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოხვდა, როგორ ფიქრობ, ჩვენი გუნდი გაიწევს ფინალურ ეტაპზე?

– ძნელი სათქმელია, თუმცა, იმედის გადაწურვაც არ შეიძლება. როგორც იტყვიან, ბურთი მრგვალია და ყველაფერი ხდება, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებს გამოცდილი ფრანგი მწვრთნელი ჰყავს. ბიჭები თუ კარგად მოემზადებიან, შეუძლებელი არაფერია.

ესაუბრა
ძეთი გაბინაშვილი.

სურათებზე: გიორგი კვახაძე (მარცხნიდან პირველი) ვარჯიშისას; ჩემპიონობის მოპოვებით გამოწვეული სიხარული.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი, აღორძინების საკრედიტო ბანკი KFW-ს თანადაფინანსებით

აცხადებს ღია ტენდერს 4 ლოტად საკადასტრო-სამზომველო სამუშაოების შესასრულებლად-შესასყიდად, მესაკუთრეთა და შენობა-ნაგებობების შესახებ მონაცემების მოსაძიებლად შემდეგ ტერიტორიებზე:

| ლოტი – ქობულეთის რაიონი
|| ლოტი – შუახევის რაიონი
||| ლოტი – ქედის რაიონი
|V ლოტი – წალკის რაიონი

იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც უკანასკნელ 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული აქვთ საკადასტრო-საამზომველო სამუშაოები DPT-ს სისტემის გამოყენებით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა:

| ლოტი – ქობულეთის რაიონი – 270 დღე, DPT-ს 2 კომპლექტის გამოყენებით;
|| ლოტი – შუახევის რაიონი – 180 დღე, DPT-ს 2 კომპლექტის გამოყენებით;
||| ლოტი – ქედის რაიონი – 160 დღე, DPT-ს 1 კომპლექტის გამოყენებით;
|V ლოტი – წალკის რაიონი – 180 დღე, DPT-ს 2 კომპლექტის გამოყენებით.

3. დაინტერესებულმა პირებმა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების დანართი №1-ის მიხედვით შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, რომელიც მოიცავს ტენდერში მონაწილის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში DPT-ს სისტემით შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოთა ნუსხას, სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას, პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ მონაცემებს და სხვა ტექნიკურ შესაძლებლობებს, ქართულ ენაზე, დახურული კონვერტით უნდა წარმოადგინონ მ/წლის 12 ივნისიდან 15 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. №10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.

4. საკვალიფიკაციო მონაცემებს უნდა დაერთოს შემდეგი ცნობები და ინფორმაციები:

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა ნოგარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი) და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

დამატებით (გარდა „ა“ „ვ“ პუნქტებისა) ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ მ/წლის 27 ივლისს 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. №10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გურგენ ლეონჯავა – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 32-30-69 და ნიკა შახოვი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 25-15-28, მისამართზე, ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. №10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 146. შაბათი. 26 ივნისი. 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციული საერთაშორისო...

როგორ ეხმაურება ჯაზფესტივალს სანდრა რულოვსი

გაუხულის ცხელ დღეებში უკვე ტრადიციად იქცა იმ ცოცხალ ლეგენდებთან შეხვედრა, რომელთა კოსმოპოლიტური შემოქმედება უკომპრომისოდ, მითსა თუ რეალობას განეკუთვნება... ბუნებრივია, მათი ნოვატორული ჯაზპარტიტურა ესთეტიკურ შემფასებელთა კალეიდოსკოპურად ჭრელ, იერარქიულ მთაბეჭდილებებს ბადებს, უფრო მეტიც, მუსიკოსთა დაბნეულობასაც კი იწვევს...

რატომ? – კლასიკურ ჯაზორკესტრში მათი აგონალური ბგერათხაგწერა ამერიკული კოლორიტით შეფერილ ელერადობას განეკუთვნება... და ამ კონცეფციას ემატება სრული იმპროვიზაცია ანუ ასოციაციური ვარიაცია. აქ, პოლიფონურ ნაკადში, მოძრაობა დაუნაწევრებელია – მუსიკა პაუზის გარეშე მიისწრაფის ფინალისაკენ ესე, რომ უცნაურ ცვალებადობას განიცდის ჯაზკომპოზიციის ფორმა და წყობა.

ამგვარ ინტელექტუალურ მუსიკას ჩვენში **„ისთერნპრომოუშენის“** ორგანიზაციორობით გამართულ გრანდიოზულ კონცერტებზე საოცარი ეფექტი მოუხდენია და ახლაც – **„საქართველოს ბანკის თბილისის ჯაზფესტივალი“** დღეიდან ნამდვილი ფურორის დაგრიალებისთვის სრულ მზადყოფნაშია.

პოსტსაბჭოურ სივრცესა და მთელ ამერიკავკასიაში უარეცელენტო შემთხვევები კელავაც გრძელდება: თბილისი მეგავარსკლავთცვენის მოლოდინშია – 10 გრემის მფლობელი, ლეგენდარული ვოკალისტი, იმპროვიზატორი **ბობი მაქფერინი,** 70-90-იანი წლების პოპ-ჯაზის ვირტუოზი **მაიკლ ფრენქსი** ბენდით, ავტორიტეტული ვიტარისტი **ჯონ მაქლაგლინი** პროექტით „შაქი“ (“Shakti”), ცნობილი მეაყვარე **ქრის ბოგი** და მისი ჯგუფი.

წარსული ექსკურსიდან შემოქმედებით რაკურსში თუკი ჩავიხედავთ, მათმე აი, რას ამოვიკითხავთ:

20 წელია, რაც ბობი მაქფერინი პუბლიკას სოლო ვოკალური კონცერტებით აღაფრთოვანებს. დიაპაზონი ოთხ ოქტავაში, ვოკალური მონაცემების ფართო კრებული, დირიჟორის აბსოლუტური სმენა, იმიტაციის ბრწყინვალე ნიჭი – ეს ყველაფერი ბობ მაქფერინს საშუალებას აძლევს ხმის იმიტაციით, ფორესა და ვივალდის მედევრებიდან, საყვირის, ჩელოსა და ფლეიტის პარტია შეასრულოს და შექმნას სრულიად ნოვატორული ხმის სამყარო. იგი შესანიშნავად გრძნობს დროს, იმიდავს მაყურებელს და არის ჩინებული შოუმენი.

და კიდევ, ის XX საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე ცნობილი სიმღერის (“Don’t Worry, Be Happy”) ავტორია.

მუსიკის ფანატიკურმა სიყვარულმა, შიშველმა ენთუზიაზმმა ან თუნდაც, ახალგაზრდულმა მაქსიმალიზმმა 1995 წელს ქრის ბოგის წარმატებული სოლო დებიუტი განაპირობა. ორეგონელი მუსიკოსი სტინგის მსოფლიო ტურნეს – „სრულიად ახალი დღე“ სოლისტია, ავტორია პოპ-ჯაზის „ღამის სესიებისა“, ალბომების: „შუაღამე შენს გარეშე“ და „სამყაროს შენელება“.

პო, მართლა, ის იტალიელი ჯორჯო არმანის ფავორიტია.

მაიკლ ფრენქსი?

1973 წელს მისი პირველი ალბომი თაყვანისმცემლებმა, რასაც ჰქვია, დაიტაცეს. მუსიკის კრიტიკოსებმა მაიკლის სახელს დაუკავშირეს 70-იანი წლების პოპ-ჯაზის ხმაური, წარმატება თუ მძვინვარება. ამას მოჰყვა „უორნერ ბრაზერში“ ხანგრძლივი თანამშრომლობა და კონცერტებზე პარადოქსული ბუმის გაჩაღება. იგი მუშაობდა ისეთ ავტორიტეტულ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: ფლორა პურიმი, რონ ქართერი, დეივიდ სანბორნი, ერიქ გეილი, „ქრუსეიდერსი“...

ბუნებით მაქსიმალისტი ჯონ მაქლაგლინის რეპუტაცია იმრდებოდა, როგორც ფენომენალური და მუდმივად ინკვიზიტორი შემსრულებელი. 60-იან წლებში ჯონი გიუნთერ ჰამფერთან ერთად თავისუფალ ჯაზს უკრავდა. მისი პირველი ალბომი გახლდათ კლასიკა (“1969’s Extrapolation”), შემდეგ ჩანაწერები ჯონ სურმანთან – „წყვდიადი დაბნელებისა“ და ლარი იანგთან – „ძიძღენა“, „ჩემი მიმნების მიღმა“, რაც წარმოადგენდა აკუსტიკური სოლოსა და ჯემის ნამავს ინდოელი მუსიკოსების მონაწილეობით. ჯონ ეოლთრეის ბაველენთ, მან კარლო სანგანასთან ერთად ალბომი ჩაწერა. სტილის რადიკალური ცვლილებით ჯონმა მსმენელი გააოცა, როცა ბენდ „შაქტისთან“ ერთად წარსდგა – ინდური მუსიკითა და აკუსტიკური ვიტარის გამოყენებით. სამწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ბენდმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ჯერ კიდევ, ინფანტილურ ფაზაში მყოფ მსოფლიო მუსიკალური სამყაროს განვითარებაში.

ასეთ შესანიშნავ მუსიკოსთა ბოჰემურ ცხოვრებას გრანდიოზული შოუ-კონცერტებით ჩვენი დედაქალაქის დიდი საკონცერტო დარბაზი და აჭარა მიუზიკ ჰოლი (26 ივნისიდან 1 ივლისამდე) უმასპინძლებს. ამ დაუვიწყარ საღამოებზე ბილეთების ღირებულების ამპლიტუდა 40-100 ლარამდე ითამაშებს.

გრაციოზული პომპეზურობით აღსავსე VIII საერთაშორისო **„საქართველოს ბანკის თბილისის ჯაზფესტივალს“** საქართველოს პირველი ლედი, მომხიბვლელი **სანდრა ელისაბედ რულოვსი** ასე ეხმაურება:

„კმაყოფილების გრძნობით მივესალმები თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალის ქართველ და უცხოელ მონაწილეებს. არცთუ ისე მორეულ წარსულში მსგავსი ფორუმის გამართვა წარმოუდგენელიც კი იყო. ჯაზს კრძალავდა საბჭოთა ხელისუფლება, დევნიდა ფაშისტური გერმანია. ის ბურჟუაზიულ ხელოვნებად იყო მიჩნეული. მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო მთელ საბჭოთა სივრცეში, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც ჯაზი პოლიტიკური პერიპეტიების მიუხედავად, მაინც არსებობდა... მიუხედავად ელიტარულობისა, ჯაზი საქართველოში ყოველთვის პოპულარული იყო და უამრავი მომდევარი ჰყავდა. ასე გრძელდება დღესაც. ამის ნათელი დასტური წლევანდელი ფესტივალია, რომელმაც ჩვენდა გულის გასახარად, რეგულარული ხასიათი მიიღო. წარმატებულ გამოსვლას ვუსურვებ მონაწილეებს, ჯაზის ქართველ თაყვანისმცემლებს კი სასიამოვნო მუსიკალურ საღამოებს“.

სასიამოვნო მუსიკალური საღამოების ერთ დღეს, კეკა ტიბე ქართველი მუსიკოსებიც იმღერებენ: 27 ივნისს, 17 საათზე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრის თანხლებით (ხელმძღვანელი – გივი გაჩეჩილაძე), სუფთა ჰაერზე გამოვლენ: **ლევან შენგელია, თაკო გაჩეჩილაძე, ნინო ქათამაძე, მერაბ სეფაშვილი, მაია ბარათაშვილი, ალეკო ხომერიკი, ლელა წურწუმია, ნანუკა ბითაძე, თიკა ჯამბურია, ვიქტორ ჰუსეინოვი...**

მზეხა მახარაძე.

სურათებზე: ბობი მაქფერინი, მაიკლ ფრენქსი, ჯონ მაქლაგლინი, ქრის ბოგი.

ალბომი

ქეკლას რაიმე აქვს სახსოვარი

აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი (მარცხნივ) მაღალი ენერგიის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე.
1990 წელი.

მოგვაწოდა პროფესორმა სოლომონ ბაქანიძემ.

ხსოვნა

ციალა ფურცელაძე

რა მარტივად ითქმის: „წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მუშაკი...,“ მაგრამ რამხელა გულისტკივილი ახლავს ამ სიტყვებს, როცა შებრუნდები და გადახედავ მის მიერ კეთილსინდისიერად განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას, მის მიერ დატოვებულ საქმეებს, ჩანაწერებს, გაიხსენებ კეთილ რჩევებს...

ასე გვახსოვს ყველას უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმი, შუდამ ახლის ძიებაში მყოფი, პროფესიონალი, ქალბატონი ციალა ფურცელაძე – ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამმართველოს ეპიდემიოლოგიური განყოფილების ახლა უკვე ყოფილი ხელმძღვანელი.

ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურა ქალბატონი ციალა დედაქალაქში საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას, სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკას – გადამდებ დაავადებათა გავრცელების აღკვეთისა და ლიკვიდაციის საქმეს. ამ ხნის მანძილზე ენერგიის დაუზოგავად შეძლო კოლეგებთან ერთად მრავალი საჭირო პრევენციული ღონისძიების გატარება და სხვადასხვა სნეულებების აღკვეთა. ამგვარ მუშაობას ასწავლიდა იგი ახალგაზრდა კოლეგებსა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს. ინფექციებთან საბრძოლველად ფართო პროპაგანდას ეწეოდა მოსახლეობაშიც რადიოსა და პრესის საშუალებით.

სამშობლოს დიდი პატრიოტის, სამედიცინო ეპიდემიოლოგიის სამაგალითო მუშაკის, კოლეგებისა და თანამშრომლთა საყვარელი პიროვნების შრომა მრავალჯერ იქნა ღირსეულად დაფასებული სხვადასხვა ჯილდოებით.

ქალბატონი ციალა ფურცელაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება საქართველოს ეპიდემიოლოგთა, ინფექციონისტთა, სანიტარიული სამსახურის მუშაკთა და სხვა დარგების მედიკოსთა გულში.

ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამმართველო; თანამშრომლები.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის, ქალბატონ ლონდა სიხარულიძის ეაეის

თემურ თალაკვაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პროფმომსახურების სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამმართველოს მთავარი ინჟინერი

თემურ თალაკვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

რეზო ლაგვილავა

კიდევ ერთი გამორჩეული კაცი დაკლდა ქალაქს, გამორჩეული თავისი პაგიოსნებითა და სიკეთით, კაცი უღალატო, ერთგული, ერისა და ქვეყნის მოყვარული და ჭირისუფალი. მოულოდნელად გარდაიცვალა სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე რეზო ომარის ძე ლაგვილავა.

რეზო ლაგვილავა დაიბადა 1962 წლის 12 მაისს მარტვილის რაიონის სოფელ ქვაითში. დაამთავრა მარტვილის №1 საშუალო სკოლა. 1980-1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. 1986 წელს სტაჟირება გაიარა ჩეხოსლოვაკიაში, ქ. ნიგრას უნივერსიტეტში. 1991 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1992 წლიდან დღემდე იყო მუდდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი. 1999 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. 2000 წელს მიენიჭა დოცენტის ხარისხი. 1999 წლიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს სობაჟო აკადემიის მუდდიდის განყოფილების დეკანად. იგი 2004 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დანიშნული იყო სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მიმდინარე წლის ბოლოს ემზადებოდა სადოქტორო დისერტაციის დასაცავად. ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

რეზო ლაგვილავა თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით ყოველდღიურად ამკვიდრებდა აზრს, რომ ამქვეყნად მთავარია არა დიდკაცობა, არამედ კაცკაცობა. ყველა საქმეს გულით ეკიდებოდა, გულით დაჰქონდა ყველას საკითხარი და საფიქრალი. ასე იყო იმ დღესაც, მისმა კეთილშობილურმა გულმა ვერ გაუძლო ახლობლის გაჭირვებას.

ვწუხვართ, რომ ამიერიდან რეზო ლაგვილავას, შესანიშნავ ქართველს, მოქალაქეს და მოღვაწეს წარსულში მოვიხსენიებთ. ჩვენ მას შუდამ მოვიგონებთ, რამეთუ მისმა სიცოცხლემ უდიდესი კვალი დატოვა ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია.

ვალერიან რევიშვილი

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა და მთლიანად საქართველოს პროფკავშირულმა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ამავე პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, ღირსების ორდენოსანი ვალერიან რევიშვილი.

ვ. რევიშვილი დაიბადა 1950 წლის 26 მაისს. 1974 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1974-1990 წლებში იგი მუშაობდა ქ. თბილისის ადგილობრივი მმართველობისა და სახელმწიფო ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1990 წლიდან იგი პროფკავშირულ სამუშაოზეა. 1990-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციაში რეფერენტად, თავმჯდომარის თანაშემწედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1995 წლიდან 2000 წლამდე მუშაობდა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1998 წლის 7 აგვისტოს არჩეულ იქნა საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

ვ. რევიშვილი არჩეული იყო საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საბჭოსა და გამგეობის წევრად. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ახალი გიის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის დაფუძნების, მისი ორგანიზაციულ-ფინანსური განმტკიცების, საქართველოს პროფკავშირული მოძრაობის შენარჩუნების საქმეში. მას ახასიათებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც გაჯერებული იყო მაღალი პროფესიონალიზმით.

და მაინც პროფესიონალიზმთან ერთად მისი უმთავრესი ადამიანური ღირსება იყო ის, რომ ვალერის შეეძლო სხვისი მოსმენა, სხვათა წუხილის გაზიარება, იგი მუდამ მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა ადამიანებისათვის, შეემსუბუქებინა მათი ცხოვრების ძმაძე გეზრიოდ და ეოველდეს ამბავიდან, რომ გაეგო ელვებინა ცხოვრება ახლობლების, ნათესავების, კოლეგებისა და მეგობრებისათვის.

ეეიმძიმს, ძალზე ეეიმძიმს გამოთხოვება ადამიანთან, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენს ეეერდით იყო და რომლის გახსენებაც შუდამ მოგვეგრის ტკივილს ამ ქვეყნიდან მისი ულროოდ წასვლის გამო.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალებული ვართ ეთქვათ: „მშვიდობით, ვალერი!“ ღაე, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, რომელიც ასე საოცრად ეყვარდა და ეთაყვანებოდი. ჩვენ კი ეერჩება ყველაზე ნათელი მოგონებები და შენი კეთილი და ხალისიანი ღიმილი!

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება; საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიული კავშირი

საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის

ვალერი რევიშვილის

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საარქიეო და სტატისტიკის დეპარტამენტების, ვაკე-საბურთალოს რაიონის საჯარო პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის

ვალერი რევიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საორგანიზაციო სექტორი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალერი რევიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეთერ მათურელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალერი რევიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს.

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ისანი-სამგორის რაიონული ორგანიზაციის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების პროფესიული კავშირის თავმჯდომარის

ვალერიან რევიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის რაიონის გამგეობა და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე

რეზო ლაგვილავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის რაიონის გამგეობა და საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს პარლამენტის წევრს გრიგოლ ქობალიას და ზუგდიდის რაიონის გამგებლის მოადგილეს ალექსანდრე ქობალიას შვილის და ძმის

ლევან ქობალიას

გარდაცვალების გამო.

მერი და ვალიკო (კუკური) როგავები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ემა და გრიგოლ ქობალიებს საყვარელი შვილის

ლევანის

გარდაცვალების გამო.

გურამ, ლაშა და გურამ დოლიძეები თანაგრძნობს უცხადებენ ემა და გრიგოლ ქობალიებს შვილის

ლევან ქობალიას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ტრადიციული საერთაშორისო...

მზე, წყალი და... „წამის გაელვება“

შაბათ-კვირა და ბაფხულის ყოველი დღე ივრის ცივ ტალღებში, – თბილისელთა საბედნიეროდ, ამ ფოტოზე ასახული „წამის გაელვება“ ჩვენი ყოფის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დედაქალაქის შემოგარენი, კუს და ლისის ტბები, აუზები და შადრევნები, ბავშვთა მინისაჭყუმპალაოები, აიესო სეზონური „დამსვენებლებით“. რას იზამ, სოციალური შეჭირვების გამო, ბევრი (ძალიან ბევრი!) ქალაქიდან ვერ გადის და თბილისურ ხვატს ასე უმკლავდება.

ჩვენ ვწერდით და კიდევ გავიმეორებთ, რომ თბილისის ზღვის, კუს და ლისის ტბების ადმინისტრაციები წლეულს განსაკუთრებული მონდომებით მოემზადნენ დამსვენებელთა მისაღებად. ვისაც ცოტა დანაზოგი თანხა აქვს, შეუძლია საზღვაო ატრაქციონებზეც გაერთოს, კატარღებით, ზღვის თხილამურებით ისეირნოს, კაფე-რესტორნებში ისიამოვნოს...

წყალი ყველგან სუფთაა და ბანაობა ნებადართულია.

გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და ამაღლებულ განწყობილებას!

ჯემალ კასრაძის ფოტო.

თსსუ ინფექციურ დაავადებათა კათედრა იუწყება ცნობილი ინფექციონისტის

იან ივანეს ძე მურატოვის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული კომიტეტი გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ლონდა სიხარულიძეს

შვილის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის განჩინებით შპს „სელა-აისბერგის“ კრედიტორთა პირველი კრება მოწვეული იქნა 2004 წლის 12 აპრილს 12 საათზე.

შპს „სელა-აისბერგის“ კრედიტორთა პირველი კრება განმეორებით მოწვეული იქნება 2004 წლის 02 ივლისს, 12 საათზე ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს შენობაში (მის. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის №1).

მოსამართლე პ. ნოგაძე.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **სპარტაკ ძოგულია.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**